ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 7 სექტემბერი 1995 წ.

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი № 157 (226)

The KAVKASIONI

ფასი 1000 რუბლის ფ/კ კუპონით

ეროვნული ბიბლიოთეკა




1-ლი სვეტი



აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტი მთელმა მსოფლიომ აღიარა, თუმცა, ტრიბუნალის ბოლომდე მიყვანას კიდევ წლები დასჭირდება.

მე-2 გვ.

მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობა მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით საქართველოში უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანას აპირებს. ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა ადვოკატთა 10-კაციანი ჯგუფი მაშველთა კორპუსის დაპატიმრებული წევრების დასაცავად.

მე-2 გვ.

ის ფიქრობს, რომ არჩევნებში ხმები ძირითადად სამ კანდიდატზე გაიყოფა — ესენი არიან: ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი და კიდევ ერთი, ამ ერთს კი ბატონი ჯუმბერი ჯერ არ ასახელებს.

მე-2 გვ.

## შრომით შენარჩუნებული ოაზისი



როცა მთელი ქვეყნის წარმოება-დაწესებულებებში ძარცვა-რბევის „შეუქცევადი პროცესი" მიმდინარეობდა, საქარის მევენახეობის სადედე სადგურში, დირექტორიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა დარაჯად იყო ქცეული.

მე-3 გვ.



გერმანიაში მოქალაქე ელექტროენერგიას ყიდის. საიდან ექნება მოქალაქეს გასაყიდი ელექტროენერგია? — მზისგან.

მე-3 გვ.

პოლიტიკა

**დემოკრატიულ ქვეყნებში ოპოზიცია წარმოადგენს ხელისუფლების ორგანულ ნაწილს, რომელიც გამოდის იმ საზოგადოებრივი ძალების სახელით, რომლებმაც ხმა მისცეს მათ. დიამეტრულად საწინააღმდეგო სიტუაციაა იმ ქვეყნებში, სადაც ავტოკრატიული (ტოტალიტარული) რეჟიმებია დამყარებული, ვინაიდან აქ პოლიტიკური აზროვნების უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პირის ან პირთა ჯგუფის, ქვეყნის ხელმძღვანელობის აბსოლუტური სიმართლის რწმენა.**

# ხელისუფლება და ოპოზიცია — ერთი მედლის ორი მხარე ანუ როგორი დაპირისპირება «გვინდა» საქართველოში?



საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა საფეხურზე ნებისმიერ ქვეყანაში ოფიციალური ხელისუფლების გვერდით ყოველთვის არსებობდა ამ ხელისუფლებასთან კონფლიქტში მყოფი, მასთან დაპირისპირებული ძალა — ოპოზიცია.

თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში ოპოზიციური ძალების არსებობა არა მხოლოდ მისაღები, არამედ პოლიტიკური თანაცხოვრების აუცილებელი და სასურველი ფორმაა. კონსტრუქციული, საქმიანი ოპოზიცია აიძულებს არსებულ ხელისუფლებას ყოველთვის იყოს მობილიზებული, „სრულ საბრძოლო სამზადისში", არ დაუშვას მეტ-ნაკლებად თვალშისაცემი შეცდომები, რათა არ მისცეს ოპონენტებს კრიტიკის, სუსტი წერტილების მოძებნის, ზეწოლის შედეგად ავტორიტეტის შელახვის და აქედან გამომდინარე, ძალაუფლების წართმევის საშუალება.

ასეთი „მარადიული ბრძოლა", თუ ის სამართლებრივ და ზნეობრივ ჩარჩოებში თავსდება, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მექანიზმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ წინსვლას, მის პროგრესს.

ხელისუფლების კონტაქტები ოპოზიციასთან, ასევე ოპოზიციის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული „რეჟიმის" სახეს და საერთაშორისო ინსტიტუტებში მის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ამიტომ გონიერი ხელისუფალნი ყოველთვის ისწრაფიან თავისი „კონკურენტების" მხოლოდ შევიწროვებისა და „ტალახში ამოსვრისკენ" (დასაშვები პოლიტიკური მეთოდებით) და არა მათი საბოლოო იზოლირებისა და ლიკვიდაციისკენ.

ზემოთქმულის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის მარგარეტ ტეტჩერის თვალსაზრისი. გარკვეულ პერიოდში, როდესაც კონსერვატორების მდგომარეობა ინგლისში საკმაოდ მყარი იყო, ლეიბორისტების რეიტინგი კი სარეკორდოდ დაბალ ნიშნულამდე დაეცა, ტეტჩერს ჰკითხეს — უნდოდა თუ არა, რომ ლეიბორისტები საერთოდ ჩამოსულიყვნენ პოლიტიკური სცენიდან და ველარ შეესრულებინათ მთავრობის ხერიოზული ალტერნატივის როლი.

ტეტჩერი ცნობილია, როგორც შეურიგებელი, გააფთრებული მოწინააღმდეგე სოციალიზმისა, მათ შორის, მისი ლეიბორისტული ვარიანტისაც (ლეიბორისტები შედიან სოციალისტურ ინტერნაციონალში). იგი დიდი ხნის განმავლობაში უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებდა მოწინააღმდეგეებთან და არც მალავდა მიზანს: „ბრიტანეთში საბოლოოდ უნდა ამოიძირკვოს სოციალიზმი", მაგრამ მისი პასუხი მოულოდნელი იყო:

— არა, — განაცხადა „რკინის ლედიმ", — ლეიბორისტთა სრული დამარცხება არ მსურს. ჩვენი პოლიტიკური სისტემა რომ ეფექტურად მოქმედებდეს, საჭიროა ძლიერი ოპოზიცია. მე თუ ახალ კანონს ვამზადებ ან ამომრჩეველთა წინაშე რაღაც წინადადებებით გამოვდივარ ან მოლაპარაკებას ვაწარმოებ სხვა ქვეყნის ლიდერთან, ვიცი, რომ მომიწევს ახსნა-განმარტების მიცემა პარლამენტში. ვიცი, რომ ამა თუ იმ კანონპროექტის ირგვლივ იქნება დებატები. გარდა ამისა, კვირაში ორჯერ უნდა ვუპასუხო პარლამენტართა შეკითხვებს და ეს შეკითხვები მეტად მწვავე იქნება, რაც მაიძულებს გულმოდგინედ მოვიფიქრო თითოეული ნაბიჯი და თითოეული სიტყვა, თითოეული დებულება მომავალი კანონისა.

ძლიერი ოპოზიცია, დაასკვნის ტეტჩერი, ეხმარება მმართველ პარტიას დღენიადაგ დახვეწოს თავისი პოლიტიკა და იმყოფებოდეს კარგ „ფორმაში".

დიდი ბრიტანეთის მსგავსად, დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლის ძირითად არენას საპარლამენტო ტრიბუნა წარმოადგენს, ხოლო ამ ბრძოლის საზრისს ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც საგნობრივ პოლემიკაში ხედავენ, ცდილობენ ღია დისკუსიაში დაამტკიცონ თავიანთი არგუმენტების ძალა და მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტე. ოპოზიცია არ მა-

იხილეთ მე 2 გვ.

# კინტაური მანქანის სახურავზე

საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 5 სექტემბერს ქუთაისის საგაზეთო ჯიხურებიდან დროებით ამოიღეს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანოს გაზეთი „იმერეთის მოამბე". როგორც ცნობილი გახდა, გაზეთის დაპატიმრების მიზეზი შეიქმნა ჟურნალისტ ეთერ ნაცვლიშვილის წერილი „გოლი საკუთარ კარში". სტატია შეეხებოდა ჭიათურის გამგებლის სამხარაძისა და პოლიციის უფროსის ცუცქირიძის „საქმიანობას" (წერილში აღნიშნულია, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გამგებელი და პოლიციის უფროსი, გამვლელების თვალწინ მანქანის სახურავზე იდგნენ და კინტაურს ცეკვავდნენ), რომელთა წინააღმდეგაც პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. როგორც ცნობილი გახდა, რამდენიმე საათის შემდეგ გაზეთები გასაყიდად ჯიხურებს დაუბრუნდა.

იპრინდა



## ჩეჩნეთი: ცხვრის გამტაცებლები... გაროზგეს

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინფორმაცია ახმეტის რაიონში ჩეჩნეთიდან გადმოსული ყაჩაღების მიერ ცხვრის ფარის გატაცების შესახებ. როგორც რადიო „თავისუფლება" იტყობინება, ამ ფაქტთან დაკავშირებით დაღესტნის მოსაზღვრე ჩეჩნეთის სოფელ ითუმ-ყულის ეწვივნენ ახმეტის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები და ადგილობრივი კოლეგების დახმარებით მიაკვლიეს როგორც დამნაშავეებს, ისე გატაცებულ ფარას. ამ სამარცხვინო ფაქტმა იმდენად აღაშფოთა ითუმ-ყულელი უხუცესები, რომ მათ შარიათის კანონებით მოითხოვეს ყაჩაღთა დასჯა. განაჩენი მართლაც ისლამური წესით აღსრულდა: დამნაშავენი საჯაროდ გაროზგეს.

მოკლედ

## ვლადისლავ არძინბა: «რუსები ქართველებს ემხრობიან»

სააგენტო „ინტერფაქსის" კორესპონდენტთან საუბარში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ იგი იმედგაცრუებული დარჩა რუსეთის პოზიციით მოსკოვში გამართული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების შემდგომ. „მე მუდამ ვემხრობოდი და ახლაც ვემხრობი რუსეთის ძალისხმევას რეგიონში მშვიდობის დამკვიდრების თვალსაზრისით, მაგრამ მისი მოქმედება ბოლო პერიოდში, რბილად რომ ვთქვათ, მეტად უცნაურად მეჩვენება", — თქვა არძინბამ და იქვე დასძინა, რომ აფხაზეთი საქართველოსთან სულ ცოტა თანაბარსუბიექტიანი კონფედერაციის პირობებზე ააგებს შემდგომ ურთიერთობებს. ყველა სხვანაირი კავშირი კი გამორიცხულია, მიუხედავად იმისა, რომ რუსები აშკარად ქართველებს ემხრობიანო.

კავკასიონი

## დააპატიმრეს პარლამენტარი მერაბ ურიდია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან შეგვატყობინეს, რომ ამა წლის 5 სექტემბერს რუსთავის საგუშაგოზე საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა ახალქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს მუშაკებთან ერთად დააკავეს ავტომანქანა „ვაზ-2106" (სახელმწიფო ნომერი გგხ 17-06), რომელსაც მართავდა დავით ნიშნიანიძე. მანქანაში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი მერაბ ურიდია, აბასთუმნელი გურამ კაპლაძე და ქუთაისელი ოთარ დემეტრაძე. ავტომანქანის დათვალიერების დროს სალონში აღმოაჩინეს 3 კგ. და 340 გრამი ოპიუმის ყაყაჩოს ნამჯა. მიმდინარეობს გამოძიება.

## საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობა

როგორც ცნობილია, 30 აგვისტოს დააპატიმრეს ყოფილი სახელმწიფო მრჩეველი, ალექსანდრე ბოჭორიშვილი. პირველი ჩხრეკის დროს, მისი სამუშაო კაბინეტიდან რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა ამოიღო 3 პისტოლეტი, 1 პისტოლეტ-დანა, ერთი ყუთი — 1250 ცალი „მაკაროვის" ვაზნა, 14000 ამერიკული დოლარი.

ალექსანდრე ბოჭორიშვილის ჩვენების საფუძველზე, 5 სექტემბერს, გვიან ღამით, პარლამენტის შენობაში, ბოჭორიშვილის სამუშაო კაბინეტიდან გამოძიებამ ამოიღო გადამალული 277 (ორასსამოცდაჩვიდმეტი) ამპულა მორფი.

ი. კვირკველია

პრესცენტრის უფროსი

კავკასიონი
ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1995
პოლიტიკა
№157 (226)


პრესკონფერენცია

# მაშველთა კორპუსში

მაშველთა კორპუსის შტაბ-ბინაში გაიმართა პრესკონფერენცია. მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლონგი ჭელიძემ განაცხადა, რომ მაშველთა კორპუსის გარშემო ხელოვნურად ქმნიდნენ ისტერიას, რომელმაც თავის კულმინაციას 29 აგვისტოს მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ მიაღწია. [illegible]

„ჩვენ არ გვინდა პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საქმის კეთება გვსურს", დასძინა ლ.ჭელიძემ. [illegible] მაშველთა კორპუსის წევრები: გოგა [illegible] და [illegible] [illegible] 40 [illegible] მაშველთა კორპუსის წევრები [illegible] არიან, მაშინ რატომ აჯილდოებდა ადრე მათ მთავრობა ორდენებითა და მედლებით დაპატიმრების მაგივრად? — აღნიშნა ლ.ჭელიძემ. რა თქმა უნდა, ჩვენს რიგებში დამნაშავეებიც იყვნენ, მაგრამ დღეს ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, ზოგიერთები საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. სანაცვლოდ კი უდანაშაულო, 19-20 წლის ბიჭებს აპატიმრებენ. კორპუსის ზოგიერთი წევრის მიმართ დაწესებულია თვალთვალი. აფხაზეთის ომის დროს კორპუსის წევრები ყიდდნენ პირად ნივთებს და სანაცვლოდ იარაღს ყიდულობდნენ, დღეს კი ჩვენ 5 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღი მთავრობას გადავეცით, განაცხადა ლ.ჭელიძემ. პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა უარყვეს ხმები ჯ.იოსელიანის დაპატიმრების თაობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობა მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით საქართველოში უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანას აპირებს. ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა ადვოკატთა 10-კაციანი ჯგუფი მაშველთა კორპუსის დაპატიმრებული წევრების დასაცავად. დასასრულს პრესკონფერენციის მონაწილეებმა სთხოვეს ჟურნალისტებს, ობიექტურად გააშუქონ მოვლენები, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული კონკრეტული ადამიანების ბედი.

იპრინდა

# საოცარ მოარულ იდეებს ფეხებად ეკონომიკა სჭირდება

[illegible]

მისი აზრით, ეს ყოველივე ედუარდ შევარდნაძეს გაუადვილებს გზას პრეზიდენტობისკენ.

[illegible] ბატონი ბაკური ჯერ არ ასახელებს. [illegible] განცხადება, რომ [illegible] პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატის წარდგენის საკითხს. [illegible]

დუქტს არ ყიდულობენ, ვინის ქარხანაში ყურძენი არ შეაქვთ. უამრავი პროდუქტი გაფუჭდა და კიდევ გაფუჭდება. ეს პროცესისადმი პრინციპულად არასწორი მიდგომის ბრალია. ამის შესახებ რეფორმატორთა კავშირი დიდი ხანია აკეთებს განცხადებებს და ჩვენი პოზიცია დაფიქსირებულია", განაცხადა ვიცეპრემიერმა.

მიუხედავად ყველაფრისა, ბატონი ბაკურ გულუა ოპტიმისტურად აფასებს ქვეყნის მომავალს და საქართველოს დიდ პერსპექტივებს ქადაგებდა მიაჩნია. მისი აზრით (რამდენად მისაღებია ეს აზრი, სხვა საკითხია), ქართველ ბავშვებს სკოლაში უნდა ასწავლიდნენ, რომ მათ სამშობლოში მრავალი დიდი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები იკვეთება. „ჩვენ სახელმწიფოებს არ დავაიწყდეთ, რომ საქართველოს საკუთარი ინტერესები გააჩნია. თუ ვინმე მიახერხებს ჩვენი და საკუთარი ინტერესების თანხვედრას, უკეთეს პარტნიორს ვერ იპოვის!" დასძინა რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარემ, თუმცა, ვიცეპრემიერმა, არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავაჯეროთ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში საკარაუდო პარტნიორები.

დავით ნინიკაშვილი

მოვლენების აფხაზეთი

# ყველა მკვლელი და ჯალათი უნდა დაისაჯოს

აფხაზეთში ქართველთა გენოციდის და ეთნიკური წმენდის. ფაქტი მთელმა მსოფლიომ აღიარა, თუმცა ყველაფერი ბოლომდე დადგენილ კიდევ წლები დასჭირდება. გვესაუბრება აფხაზეთის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, აფხაზეთის ომის საგამოძიებო ჯგუფის წევრი, ბატონი ვაჟა კოპალიანი.



— ყველა რაიონის პროკურატურას [illegible] გრამ გასაკეთებელი ბევრად მეტია. საქმის დამთავრება ჭიანურდება — მოწმეების ნაწილი რუსეთშია, ნაწილიც სხვადასხვა რაიონშია მიმობნეული, მათთან ჩასასვლელი თანხები კი ძალიან ძვირს. მიუხედავად ამისა, ათასობით მოწმეა დაკითხული და სეპარატისტთა მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაული დადგენილია.

— რამდენად შესაძლებელია კონკრეტული დამნაშავეების და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების დადგენა, მით უმეტეს, რომ აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ ათასობით დაქირავებული გადამთიელიც იბრძოდა?

— ცნობილია ათასამდე დამნაშავის, ძირითადად, ადგილობრივი აფხაზისა და სომხის ვინაობა. ამ ომში 30* ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრებია დახოცილი. ქართველების გენოციდი სეპარატისტთა მიერ წინასწარგამიზნული პოლიტიკა იყო, ამიტომ ხოცავდნენ ყველას უმოწყალოდ. სიტყვიერად ამბობდნენ, ჩვენ მხოლოდ ომის მონაწილეებს ვხოცავთო, მაგრამ, გალელებს ხომ, ფაქტობრივად, არ უომიათ? სეპარატისტთა ბანდებმა იქ შესვლისთანავე უამრავი ადამიანი მოკლეს და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. იგივე ხდებოდა სოხუმის, გაგრის, გულრიფშის და ოჩამჩირის რაიონებშიც, თუმცა, სჯობს, თვითონ მოწმეებს მოვუსმინოთ.

27 წლის თამარ ფიფია ყვება, თუ როგორ დახვრიტა 22 წლის სომეხმა ბოევიკმა 22 ქართველი სოფელ ზემო ფშაფის სკოლაში თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად და როგორ დაწვა მათი გვამები სკოლის შენობასთან ერთად.

ფშაფელი ლავრენტი სამუშია ჩამოთვლის თავის მეზობლებს, რომლებიც ასევე სომეხმა „ბოევიკებმა" დახვრიტეს — სულ 44 კაცი, ძირითადად, მოხუცები, ქალები და ბავშვები, ახალგაზრდა ქალები კი ყველანი გააუპატიურეს. სოფ.აზანთელი ზაირა მამათავაც იგივეს ყვება: „სოფელში დარჩენილი 15 მამაკაცი სომხებმა და ჩეჩნებმა პირალმა დააწვინეს ეზოში, ახალგაზრდა ქალები კი გამოარჩიეს და გააუპატიურესო".

ადამიანობადაკარგულ მკვლელებისთვის არც ასაკი არსებობდა. „1994 წლის აპრილში ორმა აფხაზმა ჩემს 75 წლის დას გაუპატიურება მოუნდომა, — ყვება სოფელ ვარჩეს მკვიდრი, 84 წლის ლუბა ზარანდია, — როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია, აფხაზმა მუშტით ცხვირი გაუტეხა. ჩემს კივილზე მოცვივდნენ მეზობელი აფხაზები და გადაგვარჩინეს... უფრო ადრე, 1993 წლის 29 სექტემბერს, აფხაზებმა ჩემსავე ეზოში მომიკლეს შვილი და შვილიშვილი, რომლებიც იქვე დავასაფლავე. იმავე დღეებში სოფელში კიდევ 13 კაცი მოკლეს, ძირითადად, მოხუცებულები".

ეფურცლავ დაკითხვის ოქმებს და ყველგან ერთი და იგივე სურათია — თვით საქართველოს ისტორიაშიც კი უმაგალითოა მშვიდობიანი მოსახლეობის ასეთი მასობრივი ჟლეტა და საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა, ადამიანთა წამების გაუგონარი ფაქტები. გალელი ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც გვთხოვა, მისი სახელი არ გამემხილა, — გალში ნათესავები მყავს და მეშინია არაფერი დაუშავონო, — ყვება, თუ როგორ ჩაიგდეს აფხაზებმა ტყვედ თვითონ და მისი მეგობრები, როგორ აწამებდნენ მათ ათასგვარი ხერხით, როგორ აწმენდინებდნენ წამებისას დაღვრილ საკუთარ სისხლს და თვითონვე ასმევდნენ, როგორ დააძრეს კბილები ბრტყელტუჩათი, როგორ ამოხოცეს მეზობლები, გააუპატიურეს ქალები, რომელთაგან ორი და წამებით გარდაიცვალა... როგორ გადაწვეს აფხაზებმა სოფელ ლუმურიშში 60, სოფელ ოქუმში 400 სახლი, როგორ დახვრიტეს ოქუმში 100 კაცზე მეტი...

— არცერთი მკვლელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, — ამბობს ბატონი ვაჟა კოპალიანი, — თუ კანონი თავის საქმეს არ გააკეთებს, მაშინ ხალხი თვითონ დაიწყებს დამნაშავეთა დასჯას, რაც უარეს შედეგს გამოიწვევს. გულრიფშის რაიონში, ძირითადად, სომეხი ეროვნების ბოევიკები აქტიურობდნენ. გუშინდელი მეზობლები სასიკვდილოდ არ ინდობდნენ ერთმანეთს.

— ომის დროს არც ქართველები აკლებდნენ ძარცვას ხელს, ამანაც ხომ არ გამოიწვია სომხების აქტიურობა?

— ბევრმა ნაძირალამ ისარგებლა არეულობით და დაიწყო სომხების ძარცვა იმ საბაბით, რომ ისინი აფხაზებს იარაღის საყიდლად ფულს უგროვებდნენ. სომხების მიერ ანტიქართული საზოგადოება „კრუნკის" ჩამოყალიბება გახდა მათთან ურთიერთობის გაუარესების მიზეზი. ეროვნული ნიშნით არც ერთი სომხის მკვლელობა არ მომხდარა. ქართველების ასეთი გაბოროტებული ხოცვა ადრევე იყო დაგეგმილი, წინამძღოლები ამზადებდნენ ამისთვის ხალხს.

— ომამდე თუ იგრძნობოდა ასეთი დაპირისპირება სომხებსა და ქართველებს შორის?

— პირიქით, დიდებული ურთიერთობა გვქონდა. ესენი, ძირითადად, თურქეთიდან გენოციდს გამოქცეული სომხები არიან. ჩვენ ისინი შევიფარეთ,მიწა გამოვუყავით, დავასახლეთ, ამის შემდეგ ჭირიცა და ლხინიც განუყოფელი გვქონდა. „კრუნკის" დამაარსებელი ალბერტ ტოპალიანი ჩემი სოფლელია, ნებელდელი, ერთად ვიზრდებოდით, ასევე იური ვორონოვიც, დედამისი რუსულს მასწავლიდა და შვილივით ვუყვარდი. რას წარმოვიდგენდი, ასეთი ბოროტება თუ ედოთ გულში!

თუმცა, ლიდერების მტრულ ზრახვებს ყველა როდი აჰყვა. ნებელდაში თვითონ სომხებმა ორი სომეხი მოკლეს, მათ შორის, ერთი კბილის ექიმი, იმის გამო, რომ ქართველებს ეხმარებოდნენ — მოხუცებსა და ავადმყოფებს პატრონობდნენ. დახმარების შემთხვევა სხვაც ბევრია, როგორც სომხების, ასევე აფხაზების მხრიდან, თუმცა, არც მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა დაიფაროს. ჩვენ თითქოს ვერიდებით ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის მიერ ჩადენილი საქმეების გამომზეურებას — აქაოდა, სომხებთან ურთიერთობა არ გავაფუჭოთო. პირიქით, მათ უნდა გაიგონ და დაგმონ აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქციელი, ამის გარეშე ჩვენი ურთიერთობები ვერ განმტკიცდება. ყველა მკვლელისა და ჯალათის ვინაობა უნდა დადგინდეს და ისინი სათანადოდ უნდა დაისაჯონ. სხვანაირად სამართლიანობა ვერ აღდგება.

სოზარ სუბელიანი

ოფიციალური ბიულეტენი

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია

გუშინ, მინისტრთა კაბინეტში გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია. საქართველოს რესპუბლიკის ვიცეპრემიერ თამაზ ნადარეიშვილის თქმით, ამ კვირაში რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, რათა მოსკოვში ოფიციალურად მიიწვიონ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. იგი რუსეთის დეპუტატებს ინფორმაციას მიაწვდის აფხაზეთში მომხდარ მოვლენებზე.

+ + +

გუშინვე, ამავე სესიაზე გამოსულმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალმა დავით გულუამ განაცხადა, რომ საქართველოს ახლადმიღებულ კონსტიტუციაში აფხაზეთი დაფიქსირებულია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს-ს, უფლება აქვს, აფხაზეთის ტერიტორიაზე აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი, როგორც მშვიდობიანი, ასევე ძალისმიერი მეთოდით. ამჟამად გენერალ გულუას დაქვემდებარებაში მყოფი ძალები მზად არიან, ბრძანების მიღებისთანავე შევიდნენ აფხაზეთში.

## ახალი ბლოკი

ამ დღეებში შეიქმნა საზოგადოებრივი-პოლიტიკური ორგანიზაცია „აფხაზეთი ჩვენი სახლი", რომელმაც რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროებში გაიარა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თქმით (რომელიც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა), ეს არის დამოუკიდებელი ბლოკი, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

## ვ.ბოიკოს მხარდასაჭერად

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ მიმართვა გაუგზავნა კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ ქართველებს, რათა მათ რუსეთის სახელმწიფო დუმის მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ დეპუტატ ვლადიმერ ბოიკოს, რომელიც ამ მხარეში იყრის კენჭს. მიმართვაში ნათქვამია, რომ ვ.ბოიკო რუსეთის პოლიტიკურ არენაზე ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იგი ყოველთვის მიიჩნევდა აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

## მოსალოდნელი ცვლილებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო და თავდაცვის სამინისტროები, უახლოესი 2-3 კვირის განმავლობაში, აფხაზეთის კონფლიქტის გადასაწყვეტად, მოსკოვში განიხილავენ კონფლიქტის ზონაში განლაგებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების გადაადგილების საკითხს.

## პირველი პირების შეხვედრა

3 ნოემბერს, სოჭში დაგეგმილია დსთ-ს ქვეყნების მეთაურების შეხვედრა, სადაც განიხილავენ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ერქვანას თქმით, ამ შეხვედრაზე აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს მიეცემა პოლიტიკური შეფასება.

იპრინდა

# ხელისუფლება და ოპოზიცია — ერთი მედლის ორი მხარე ანუ როგორი დაპირისპირება «გვინდა» საქართველოში?

[illegible] გვერდიდან

ლავს, რომ [illegible] ძალაუფლების მოსაპოვებლად, სამთავრობო [illegible] სიდუმლოდ არ ინახავს იმას, რომ ძალაუფლების შენარჩუნება სურს. საპარლამენტო სისტემის [illegible] ფუნქციონირების პირობებში ოფიციალური ოპოზიცია (ინგლისში — „მისი უდიდებულესობის ოპოზიცია") ასრულებს ალტერნატიული სახელმწიფო ორგანოს ფუნქციას, რომელიც თავის დროზე [illegible]. ამასთანავე, მოქმედი მთავრობის თითოეულ ნაბიჯს შეესაბამება ოპოზიციის „ჩრდილოვანი მინისტრი", თუმცა, ორივე მხარე ერთნაირად იცავს ქვეყნის ინტერესებს.

„ნორმალურ" სახელმწიფოებში ძალაუფლებისთვის ბრძოლის ბედი პარლამენტის კედლებში როდი წყდება. იგი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი პარტია წარუდგენს ელექტორატს უფრო მიმზიდველ საარჩევნო პროგრამასა და პლატფორმას, დაარწმუნებს მათ, რომ მეტოქეებზე უკეთ შეძლებს უხელმძღვანელოს ქვეყანას. ეს გამუდმებული პოლემიკა გრძელდება პარლამენტის გარეთაც, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. თითოეული ცვლილება პოლიტიკურ ცხოვრებაში და საერთოდ, ქვეყნად მიმდინარე მოვლენებში, როგორც წესი, პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში სხვადასხვა პარტიის მონაწილეობით ჩვარედინი ინტერვიუებისა და დისკუსიების საბაბად იქცევა ხოლმე.

იმავე დიდ ბრიტანეთში, თუ, მაგალითად, მთავრობამ გაადიდა სარგებლის განაკვეთი, ფინანსთა მინისტრს ან მმართველი პარტიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელსა და ლეიბორისტთაგან მის ოპონენტს („ჩრდილს") მყისვე მიიწვევენ ტელევიზიაში ან რადიოში. პირველი დაიცავს მიღებულ გადაწყვეტილებას, განმარტავს, რომ იგი მიმართულია ინფლაციის, სამომხმარებლო ბუმის შესაკავებლად, მთლიანად ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. მეორე, პირიქით, დაიწყებს მის კრიტიკას, მიუთითებს, რომ განზრახული ქმედება მძიმე ტვირთად დააწვება მილიონობით ოჯახს, რომლებიც საცხოვრებლის საგირავნო პროცენტებს იხდიან. მოიხსენიებს ინფლაციასაც, რომლის [illegible]

ტრი და ოპოზიციის ლიდერი, რომლებიც ყოველდღე ხედავენ ამგვარ რამეს, არ წუწუნებენ, არ ჩივიან, რომ მათ არ აძლევენ მუშაობის საშუალებას და არ ითხოვენ ხალხისგან განსაკუთრებულ შემწყნარებლობას.

და საერთოდ: დემოკრატიულ ქვეყნებში ოპოზიცია წარმოადგენს ხელისუფლების ორგანულ ნაწილს, რომელიც გამოდის იმ საზოგადოებრივი ძალების სახელით, რომლებმაც ხმა მისცეს მათ.

დიამეტრულად საწინააღმდეგო სიტუაციაა იმ ქვეყნებში, სადაც ავტოკრატიული (ტოტალიტარული) რეჟიმებია დამყარებული, ვინაიდან აქ პოლიტიკური აზროვნების უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პირის ან პირთა ჯგუფის, ქვეყნის ხელმძღვანელობის აბსოლუტური სიმართლის რწმენა.

ტოტალიტარულ სისტემაში არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი პოლიტიკური ავტორიტეტი, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს დემოკრატიული საზოგადოების არსებობას, სადაც თანაბარ პირობებში ცალკეული პიროვნებები ეჯიბრებიან ერთმანეთს და იმარჯვებს ის, ვინც უფრო ნიჭიერია. კლასიკური ლიბერალური დემოკრატიის პირობებში არსებობენ პიროვნებები, რომლებიც განასახიერებენ სამოქალაქო საზოგადოებას. ესენი არიან მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური მოღვაწეები. მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში თავიანთი დამსახურების წყალობით ისინი იძენენ პოლიტიკურ წონას. ამიტომ, მათ შეუძლიათ წარსდგნენ სახელმწიფოს წინაშე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დასაცავად, გააკრიტიკონ სახელმწიფო ან ქვეყნის ხელმძღვანელობა, გამოააშკარავონ სახელმწიფო ინსტიტუტების მაქინაციები და ა.შ.

ავტოკრატიული რეჟიმი კი უსპობს ადამიანებს მსგავსი პიროვნული თვისებების შეძენისა და გამოვლინების შესაძლებლობებს. ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებობენ არა მოქალაქეები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არამედ არიან ქვეშევრდომები, რომლებსაც ევალებათ, ბრმად ემსახურონ უმაღლეს ხელისუფალთ და უსიტყვოდ აღასრულონ მათი ნება.

მართალია, ტოტალიტარულ სახელმწიფოში შეიძლება იყვნენ დიდი მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, მაგრამ ისინი ვერ იქნებიან ჭეშმარიტი მოქალაქეები. მწერალი ან მეცნიერი შეიძლება იყოს ბუმბერაზი, მაგრამ როგორც მოქალაქე, დესპოტური რეჟიმის პირობებში არარაობაა, მხოლოდ და მხოლოდ ქვეშევრდომია, რომელიც ცახცახებს სახელმწიფოს და მისი ყოვლისშემძლე პარტიული ბიუროკრატიის წინაშე და თუ ის მოინდომებს წინ აღუდგეს ამ რეჟიმს, ეს უკანასკნელი გაუსწორდება მას ფიზიკურად, მატერიალურად, სულიერად ან ფსიქოლოგიურად. აქვე შევნიშნავთ, რომ ამერიკელი მკვლევარის ჯ.კირპატრიკის აზრით, ავტორიტარიზმსა და ტოტალიტარიზმს შორის დიდი მსგავსების მიუხედავად, განსხვავება მათ შორის მაინც არის: ტოტალიტარული რეჟიმი, ავტორიტარულისგან განსხვავებით, სრულ შეურიგებლობას იჩენს განსხვავებული აზროვნებისადმი, იგი თეორიულადაც კი უარყოფს ოპოზიციის არსებობის კანონიერებას. მთლიანად უმორჩილებს რა საზოგადოებას სახელმწიფო მანქანას, კრძალავს და თრგუნავს რა სოციალური ორგანიზაციისა და ინსტიტუტების ყოველგვარ სხვა არასახელმწიფოებრივ ფორმებს, ტოტალიტარული რეჟიმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ლიბერალიზაციას და დემოკრატიზაციას შორეული მომავლისთვისაც, ხოლო ყველაზე რადიკალური ავტორიტარიზმიც კი ატარებს დემოკრატიის ჩანასახობრივ ელემენტებს, რასაც ტოტალიტარული რეჟიმი მთლიანად მოკლებულია. გარდა ამისა, ავტოკრატიული მთავრობები ნაკლებად რეპრესიულნი არიან, ვიდრე ტოტალიტარული მთავრობები და უფრო ადვილად ექვემდებარებიან ლიბერალიზაციას და დემოკრატიზაციას. ტრადიციულად, ავტოკრატები მხოლოდ ეგუებიან არათანასწორუფლებიანობას, ძალადობას, სიმკაცრეს, სილატაკეს, ხოლო მემარცხენე რევოლუციონერები („ტოტალიტარისტები") თვითონ ქმნიან მას. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ლტოლვილთა და პოლიტიკურ ემიგრანტთა რაოდენობა კომუნისტური ქვეყნებიდან ყოველთვის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ავტორიტარული სახელმწიფოებიდან.

ტოტალიტარული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ეს სპეციფიკური თავისებურებები, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფოში ხელმძღვანელის ავტორიტეტი დამოკიდებულია არა ამ პიროვნების საქმიან და ინტელექტუალურ თვისებებზე, არამედ იმაზე, თუ რა ხარისხის ძალაუფლებაა მის ხელში კონცენტრირებული, განაპირობებს რეჟიმის რეაქციულობას, მის ჩამორჩენილ პოლიტიკურ სისტემად ჩამოყალიბებას. ამ სპეციფიკაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობის გასაღებიც — ვინაიდან ასეთ საზოგადოებაში არ არსებობენ გამოჩენილი პიროვნებები, გამოჩენილი მოქალაქეები თავიანთი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი წონით, ამიტომ ოპოზიციის ოფიციალურ არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ის შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ იატაკქვეშეთში, ნახევრად ლეგალურ პირობებში (დისიდენტობის სახით) ან ფუნქციონირებდეს საზღვარგარეთ, ემიგრაციაში.

ტოტალიტარული რეჟიმის ხელისუფალნი იძულებული არიან, რეალური ავტორიტეტების არარსებობა აანაზღაურონ მისი სუროგატის შექმნით, რაშიც მათ დიდ დახმარებას უწევს უზარმაზარი სახელმწიფო პროპაგანდისტული მანქანა, მმართველი პარტია (კომუნისტური, ფაშისტური, რასისტული თუ სხვა შინაარსის), მასობრივი ორგანიზაციები. ასეთი რეჟიმი, განსაკუთრებით თუ ის დიდი ხნის მანძილზე არსებობს, იმდენად დამთრგუნველად მოქმედებს ფართო მასების ფსიქიკაზე, რომ ზოგჯერ თვით საზოგადოებას უქრება მისი (რეჟიმის) დაძლევისა და „გადაგდების" სურვილი.

როგორც ესპანეთში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, კაუდილიო ფრანკოს მმართველობის ბოლო წლებში მოსახლეობის მხოლოდ მესამედს მიაჩნდა თავი დემოკრატიის მიმდევრად, 15 პროცენტს სურდა „ფრანკოიზმიდან" გასვლა, თუმცა, ამავე დროს, მას „ნორმალურ" და „ჯანმრთელ" რეჟიმად მიიჩნევდა, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნახევარი, მიუთითებდა რა მის ნაკლოვანებებზე, ინარჩუნებდა ლოიალობას დიქტატორული რეჟიმის მიმართ. ამ უკანასკნელი კატეგორიის სოლიდურობა (50 პროცენტი) მოწმობს, რომ ავტორიტარული რეჟიმის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა პასიურობა, ინდიფერენტულობა, გარდაქმნების შიში, მასების ორიენტაციაში შეაქვს გარკვეული ზომიერების ელემენტი. ესპანეთში ეს გამოიხატა სამოქალაქო ომისა და დიქტატურის განმეორების ქვეცნობიერ შიშში და ამიტომ აქ დიქტატორის სიკვდილის შემდეგ გეზი აღებული იქნა დემოკრატიული და რეფორმატორული საქმიანობის შედარებით ფრთხილ, ზომიერ ფორმებზე.

ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ესპანეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს ჯერ ცენტრისტულმა, შემდეგ კი — მემარცხენე ძალებმა. ისინი თითქმის ოთხი ათწლეულის განმავლობაში ოპოზიციაში იმყოფებოდნენ, მუშაობა უხდებოდათ იატაკქვეშეთში, არალეგალურ პირობებში და ამიტომ მოკლებულნი იყვნენ ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებას. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს დიდი კატაკლიზმებისა და სხვა ძალებთან (თუნდაც ფრანკოს მომხრეებთან) სერიოზული კონფრონტაციის გარეშე ქვეყნის ავტოკრატიული რელსებიდან მმართველობის დემოკრატიულ სისტემაზე გადაყვანა. ასეთ გეგმაზომიერ, ნაკლებადმტკივნეულ „გადასვლაში" მიმომხილველები ხშირად უსვამენ ხაზს პარლამენტის როლს, რომელშიც, მართალია, არიან საკუთარი ჟირინოვსკები და გაიდარები, მაგრამ სადავო საკითხები მაინც ცივილიზებული, კონსენსუსის გზით წყდებოდა — ძველი კანონების დაცვის პარალელურად, მაინც მიმდინარეობდა ძველი, არსებული სისტემის დემონტაჟი და ეს ხდებოდა ხელისუფლების ვაკუუმის გარეშე, რასაც ხშირად აქვს ადგილი ასეთ შემთხვევებში. ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ ძალებს შორის გაფორმდა სამოქალაქო პაქტი, რაც გამოიხატა ესპანელთა პოლიტიკურ ნებაში, კერძოდ, ერთ დროს გარე სამყაროსგან იზოლირებული ესპანეთი უნდა გადაქცეულიყო აყვავებულ, დემოკრატიულ, „ევროპული ოჯახის" სრულფასოვან წევრ-ქვეყნად.

სულ სხვა მეთოდი აირჩიეს „დემოკრატიის გზით მავალმა" შუა აზიის რესპუბლიკებმა. ესპანეთისგან განსხვავებით, აქ „ერის მამობა" სხვადასხვა ტიპის „ბაშებმა" და „აზიის ვეფხვებმა" იკისრეს, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად შეზღუდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები (ყაზახეთში ისინი საერთოდ „გარეკეს") და მესამე ათასწლეულის დამდეგამდე თავი უცვლელ პრეზიდენტებად გამოაცხადეს.

ტოტალიტარული მმართველობიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის პროცესი მასობრივად 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან — „ცივი ომის" დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო და თითქმის მთლიანად მოიცვა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. მრავალპარტიული არჩევნების შედეგად პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, აგრეთვე, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ძალებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ მათი მიზანია ტოტალიტარიზმის ნანგრევებზე ახალი, დემოკრატიული პრინციპებით მართვადი სახელმწიფო სტრუქტურების აშენება-ჩამოყალიბება.

ამ პროცესს, ე.ი. ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულზე გადასვლას, თან ახლავს განსაკუთრებული სიძნელეები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ეს არის ძალზე რთული და, ამავე დროს, მეტად დელიკატური საკითხი, რისი გადაწყვეტაც ყველგან და ყოველთვის უმტკივნეულოდ ვერ ხერხდება და ზოგჯერ დიდ მსხვერპლსაც მოითხოვს.

მაგალითად, რუმინელ ხალხს ჩაუშესკუს რეჟიმის 25-წლიანი „ოქროს ხანის" (ასე უწოდებდა თვითონ დიქტატორი საკუთარ „ზეობას") დამხობა რამდენიმე ათასი პატრიოტის სიცოცხლის ფასად დაუჯდა და ოპოზიციამ 1989 წელს მხოლოდ შეიარაღებული გამოსვლების საშუალებით შეძლო მისი ერთპიროვნული მმართველობის დამხობა.

დაახლოებით მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები საქართველოშიც, სადაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება. ამ ცვლილებებს, სამწუხაროდ, ხშირად წინ უძღოდა უდანაშაულო ადამიანთა ყოვლად გაუმართლებელი მსხვერპლი (1989 წლის 9 აპრილი, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენები).

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავიდანვე რადიკალური ძალები გამოვიდნენ ბრძოლის წინა ხაზზე. ინტელიგენციის ძირითადი, წამყვანი ნაწილი, ამ ძალებთან ვერ გაერთიანდა. მისი სუსტი და გაუბედავი ცდა, სათავეში ჩადგომოდა ეროვნულ მოძრაობას, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მარცხით დამთავრდა. ძირეულ ცვლილებებს მონატრებულმა ხალხის უმრავლესობამ ზომიერი ოპოზიციის პლატფორმა არ მიიღო, რადგან სიფრთხილის ელემენტები მან კოლაბორაციონიზმის გამოვლინებად აღიქვა.

შემდგომში რადიკალური ოპოზიცია ორ ნაწილად გაიხლიჩა. გამარჯვებულებმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მთელი თავიანთი ძალისხმევა მიმართეს არა ტოტალიტარული სისტემის და საერთოდ, ავტორიტარიზმის წინააღმდეგ, არამედ ეროვნული მოძრაობის დანარჩენ ძალებთან დაპირისპირებისკენ, რასაც ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღება მოჰყვა. შედეგი: პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ვერ „მოუარა" საკუთარ თავს და დაემხო ძმათამკვლელი ომის შედეგად, რომელიც ზოგმა „სამხედრო გადატრიალებად", „პუტჩად" მონათლა, ზოგმა კი — „დემოკრატიულ რევოლუციად" და „სახალხო აჯანყებად".

ბოლო წლებში ქვეყანაში ძალაუფლების ხშირი ცვლა თავისთავად იწვევს ძირეულ ცვლილებებს როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის საქმიანობის ხასიათში. ამიტომ, ოპოზიციური მუშაობის ისეთი მყარი ტრადიციები, როგორიც დღეს დასავლეთში არსებობს, ჩვენ, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია. იგი უნდა ჩამოყალიბდეს სტაბილური პოლიტიკური ცხოვრების პირობებში, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში, ჯერჯერობით, არარეალობაა.

სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურების მქონე სახელმწიფოებში ოპოზიციის ხელისუფლებასთან დაპირისპირების ძირითად სფეროს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები წარმოადგენენ, პოლიტიკური მოწყობის საკითხები კი შედარებით მეორე პლანზეა გადაწეული. საქართველოში პირიქითაა: დღეს ხელისუფლებასთან დაპირისპირებისას ყველაზე აქტუალურია ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის, ნორმალური სახელმწიფო სტრუქტურების (მაგალითად, ეროვნული არმიის) შექმნა, კონსტიტუციური ნორმების პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანები, რის გამოც ნაკლებადაა პოლემიკა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ პრიორიტეტებზე. ეს, ალბათ, გასაგებიცაა: ჩვენ ხომ ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში ვართ, დასავლეთში კი ეს პროცესი დიდი ხანია დამთავრდა.

სასიამოვნოა, რომ უკანასკნელ პერიოდში თვალშისაცემი გახდა საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ბრძოლის ფორმების ერთგვარი დახვეწა: იგი უფრო მოქნილი და გონივრული გახდა, ითვალისწინებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, პოლიტიკურ სიტუაციას და ა.შ. ეს ტენდენცია ნათლად გამოვლინდა კონსტიტუციის პროექტზე და ახალ საარჩევნო კანონზე ერთობლივი მუშაობის პირობებში. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შეჯერებისას ოპოზიციას ეყო გამბედაობა, წასულიყო რიგ დათმობებზე, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ძნელი წარმოსადგენი იყო.

მეორე მხრივ, თუ ხელისუფლების მხრიდან ახლო წარსულში თვით ოპოზიციის არსებობაც კი გაღიზიანებას იწვევდა, დღეს ვხედავთ მის სურვილს, ითანამშრომლოს ოპონენტებთან ორმხრივი კომპრომისების საფუძველზე, რათა ყველა სადავო საკითხი გადაწყდეს ურთიერთმისაღები შეთანხმების, დათმობების გზით.

ამიტომ, ვიტოვებთ იმედს, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებაც და ოპოზიციური ძალებიც, წარსულის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით ურთიერთთანამშრომლობას მოაქცევენ სამართლებრივ და ზნეობრივ ჩარჩოებში, რაც ერთგვარი გარანტიაა მსოფლიოს ცივილიზებულ თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დაკავებისა.

მოამზადა

გია მარხანელმა

## შუამავლობა, ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა, გაქირავება!
## სახლები... მაღაზიები... ოფისები... საელჩოები...

### იყიდება

#### ოფისები

რუსთაველზე
საუკეთესო
ოფისი
ფასი 100 000-ზე მეტი

საელჩოსთვის...
წარმომადგენლობისთვის...
შენობა,
დამოუკიდებელი!
ფასი — მაღალი.

იყიდება ჭავჭავაძის გამზირზე
მაღაზია..? ოფისი..?
დღეს საღამოს — 35 000 დოლარია,
ხვალ დილით — იქნება 70 000 დოლარი

იყიდება ნაღდ ქალაქში
სოლოლაკში
«იმერთბანკთან»
დიდი, დიდი, დიდი,
7 ოთახიანი ბინა (240 მ2).
ფასი $59000.
(ჩანხარდის პარტიკეტიოთ, ხარემონტო).
გირჩევთ შეიძინოთ!

იყიდება
ვაკეში
ფალიაშვილზე
4-ოთახიანი ბინა
(უცხოურებელი, ახალი რემონტით...)
ფასი 80 000 დოლარი
რადგან გარემონტებულია, ამიტომ ეს
ბინა უიშვიათესია, ურეალურესია!

საბურთალოზე
ანაგის ქუჩაზე 4-ოთახიანი ბინა, 200 კვ.მ.
მაღალჭერიანი
ფასი 55 000 დოლარი

იყიდება საბურთალოზე
2+1
ჭერი 3,10
რემონტით
ფასი 33 000 დოლარი

იყიდება
მრგვალ ბაღთან
3-ოთახიანი (სარემონტო)
ფასი 39 000 დოლარი
ჯობს ურემონტო ურჩევნია!
... და ეს ძალიან კარგი ბინაა!!!
გირჩევთ შეიძინოთ

უცხოელი მყიდველი ეძებს
ვაკეში
ვერაზე
დიდ სახლს ან ბინას.
ფასი ნებისმიერი

### ვიყიდი

კარგ
ოფისს!
ოფისს! ოფისს!...

მოგვმართეთ
მისამართზე
ჭავჭავაძის
გამზირიდან
გალაკტიონის
ძეგლის
პირდაპირ
«წყალპროექტში»
მეორე
სართული
ტელ: 22-12-57
23-33-09, 22-70-94



---

კომპიუტერის
შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა საყურადღებოდ
განათლების სამინისტროს სსგ „ინფორმატიკას"
თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ინფორმატიკის საფუძვლების შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან VI-XI კლასის მოსწავლეები.
განცხადებები მიიღება 9 სექტემბრამდე.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
ი. ჭავჭავაძის I ჩიხი №37 ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია, როგბურთის
კორტებთან. ტ. 29-48-60, 29-48-61.

---

9-10 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის
სახელობის თეატრის შენობაში, გაიმართება
საქართველოს
ახალგაზრდული პარლამენტის
დამფუძნებელი ყრილობა.
დელეგატების რეგისტრაცია —
9-დან 10 საათამდე.

---

«თბილქალაქპროექტთან» არსებული
## სამხატვრო სტუდია
აცხადებს 6-15 წლამდე მოზარდების მიღებას.
შეისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია.
ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დავით
აღმაშენებლის გამზირი 89/24 „თბილქალაქპროექტის"
შენობა, მეტრო „მარჯანიშვილის" თავზე. მაღლივი
კორპუსი მე-5 სართული, ოთახი № 36. ტელ.: 95-35-76.
ყოველდღე 11-დან 17 სთ-მდე. შაბათ-კვირის გარდა.

---

ყოველდღიური გაზეთი
«კავკასიონი»
იღებს შეკვეთებს
სამგლოვიარო განცხადებების
გამოქვეყნებაზე
მოგვმართეთ: პეტრიაშვილის ქუჩა №7
ტელეფონი: 29-48-05

---

გაზეთი

სარეკლამო სააგენტო

გთავაზობთ: ფირმების, ორგანიზაციების
და პროდუქციის რეკლამირებას.
რეკლამების დამზადებას და განთავსებას გაზეთებში და ჟურნალებში.
სარეკლამო კამპანიის ჩატარებას
პრესის, ტელევიზიის და რადიოს მეშვეობით.
ფერადი სარეკლამო ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვებას.
სარეკლამო ფარების დამზადებას და განთავსებას ქალაქში.
მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 7. ტელ.: 29-48-05

---

ქ.თბილისში, ვაზისუბანში.
### გაიხსნა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების გიმნაზია.
ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლასთან ერთად მოსწავლეები
შეისწავლიან სხვა უცხო ენას (გერმანული, რუსული) გიმნაზიაში
სწავლის ხანგრძლივობაა 11 წელი. IX-XI კლასებში მოსწავლის უნარისა
და სურვილის მიხედვით ხდება დიფერენცირებული სწავლება –
ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო პროფილით. სასწავლო
პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და
გამოცდილი, მაღალი პროფესიული დონის პედაგოგები.
1995-1996 სასწავლო წელს გიმნაზია აცხადებს მიღებას I-IX კლასების
ჩათვლით. სწავლა ფასიანია.
დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ: ვაზისუბნის I მ/რაიონი,
168-ე ბაღის შენობაში, 10-დან 14 საათამდე.

---

## საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517, გოგებაშვილის N-60
ტ: 7-60-01, 2-00-50, ფაქსი: 873 1405427
ტელექსი 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili, Batumi 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-30, 7-60-01, Fax: (873) 1405477, Telex: 412616

GEORGIAN MARITIME BANK

საუწყებო ფურცელი

გაზეთი კავკასიონი

## ვაგრძელებთ კერძო განცხადებების უფასოდ განთავსებას. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58



### ვყიდი

- **ან ვცვლი 3 ოთახიან ექსპერიმენტული პროექტის4 ბინას ზემო ფონიჭალიდან მეტროსადგურის ნებისმიერ სადგურთან ერთოთახიან ბინაზე (გაცვლის შემთხვევაში) ტელ.: 93-18-84 ან 93-31-81 იკითხეთ ცაალა**
- 4-ოთახიან ბინას პირველ სართულზე ორმხრივი მიშენებით, გოგირდის წყლით, საგარაჟე ადგილით, ტელეფონით, ბინიდან ჩასასვლელი 2 სარდაფით,ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ბინა სარემონტოა. ჭერი 2,60.
- ვაკეში, მაღალ ბელეტაჟზე, პირველი სართულის სიმაღლე 2,40, მეორე სართულის — 3,40. ზემოთ არის 3 ოთახი. ეზო 40 კვ.მ. ბინას აქვს ლია, გადახურული ვერანდა.
- 2-ოთახიან ბინას საბურთალოს ქუჩაზე, „ხრუშჩოვკა“, ჭერი 2,60. ქუჩიდან თითქმის მეორე სართული. რკინის კარებით, რკინის გისოსებით, ცხელი გოგირდის წყლით.
- ვერაზე 4-ოთახიან სუფთა ბინას 2 ბუხრის სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე.
- დიდ დიღომში 3-ოთახიან ბინას მე-11 სართულზე. 120 კვ.მ. ფართით, მეორე მიკრორაიონი.
- ბახტრიონის ქუჩაზე 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას მე-6 სართულზე, საერთო ფართი 120 კვ.მ.
- 17 კვ.მ. ოთახს ლოჯიით და სათავსოებით კუმისის ქუჩაზე. ფასი 2000 დოლარი. ტელ.: 96-28-94.
- ნაძალადევის რაიონში კერძო ბინას, ბელეტაჟზე, 5 ოთახი, ხეივნით, თევზების აუზით, 100 კვ.მ. ეზოთი.
- 2-სართულიან სახლს ძალიან კარგი რემონტით ნაძალადევის რაიონში.
- იაფად საკუთარ სახლს პატარა ეზოთი ვაკეში.
- ვერაზე, მე-2 სართულზე 4-ოთახიან ბინას, გარემონტებული კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, ჭერი 3,40.
- 3-ოთახიან ბინას დიდუბის მეტროსთან მე-6 სართულზე, ჭერი 2,60;5-6 წლის რემონტით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ცხელი წყლით.
- 3-სართულიან კერძო სახლს პირველ-მესამე სართულზე, საერთო ფართი 125 კვ.მ. ბინა კარგად გარემონტებულია, კაპიტალური გარაჟით, 500 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი.
- ორსართულიან სახლს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში 2000 კვ.მ. ეზოთი და ცალკე 2000 კვ.მ. ნაკვეთით. საწყისი ფასი 6000 დოლარი.

ტელ.: 99-32-85.

- ოთხნახევრიან კუთხის ბინას ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. ფასი 12 000 დოლარი. ტელ.: 29-23-94.
- **ორსართულიან, პატარა სახლს ნაძალადევში, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ.: 66-18-56, იკითხეთ მაია ან დათო.**
- მცხეთის ქუჩაზე, მაღალ ბელეტაჟზე ოთხოთახიან სარემონტო ბინას სარდაფით, დაშენების პერსპექტივით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-34-55.
- გადასასვლელ ხიდთან, პრავდის ქუჩაზე კერძო სახლს (ერთ ეზოში ორი ბინა), სამ-სამი ოთახით, შესაძლოა, გაიყიდოს ცალცალკე, სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-15-77.
- ერთოთახიან, მაღალჭერიან ბინას ლოჯიით ვერაზე, ფილარმონიის წინ, იტალიურ ეზოში, მანსარდის დაშენების პერსპექტივით. ფასი 6000 დოლარი. ტელ.: 23-06-38.
- წყნეთში ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთხნახევრიან, იზოლირებულ ბინას. სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტით, საგარაჟე, საბოსტნე, სასარდაფე ადგილებით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-86-55, 73-78-90.
- 2-სართულიან აგარაკს ნიჩბისში, მცხეთიდან 10 კილომეტრი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 600 კვ.მ. ხეხილიანი ბაღი. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 38-01-11.
- დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან“ 2-ოთახიან, მაღალჭერიან, კუთხის ბინას 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-02-31.
- 5-ოთახიან (3+2) ჩეხური პროექტის ბინას რუსთავის შესასვლელში. მეორე სართულზე ტელეფონით, გარაჟით. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.
- გარემონტებულ კერძო სახლს, საბურთალოზე. ლვოვის ქუჩაზე სარდაფით, გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ან ვცვლი ოზურგეთში, ქალაქის ცენტრში 2-სართულიან, კაპიტალურ სახლს 12X11. 600 კვ.მ. ეზოთი ოზურგეთის, ლანჩხუთის ან ჩოხატაურის რაიონის ნებისმიერ სოფელში 3-4-ოთახიან საცხოვრებელ სახლზე. საწყისი ფასი 9 ათასი დოლარი. ტელ.: 6-57-41 (იკითხეთ ლიზა), 6-51-19 (იკითხეთ ჯიმშერი), 37-00-74 (იკითხეთ ანზორი ან სვეტა).
- სასწრაფოდ კერძო სახლს ბელეტაჟზე, ბაგებში ეზოთი და ბაღით (ყველანაირი ხეხილით). საწყისი ფასი 11 000 დოლარი. მისამართი: ბაგები, იმედაძის 4 (სკოლასთან). ტელ.: 68-61-74.
- კერძო სახლს ეზოთი და სათავსოებით სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქუჩაზე №19-ა-ში (ბავშვთა სავადმყოფოს პირდაპირ). ტელ.: 36-17-03, იკითხეთ სულიკო (ნებისმიერ დროს).
- ოროთახიან, იზოლირებულ ბინას დიდი ლოჯიით, მეტრო „მარჯანიშვილთან“ ახლოს მაღალი ჭერით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. აქვს გაფართოების პერსპექტივა. ბინის საერთო ფართია 100 კვ.მეტრი. ფასი 15 000 დოლარი. ტელ.: 96-90-26, იკითხეთ ნინო.
- ბინას ყაზბეგის ქუჩაზე (ყოფილი პავლოვის) 2-ა, 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. საერთო ფართი 140 კვ.მ. ჭერი 3 მ. საწყისი ფასი 20 000 დოლარი. ტელ.: 38-81-08 (დილას ან ღამე).
- ქ.რუსთავში, ლეონიძის 6 ნომერში, ოროთახიან გარემონტებულ ბინას, ფართი 32,5 კვ.მ. ლოჯიით და ორი აივნით და ერთოთახიან გაურემონტებელ ბინას 17,5 კვ.მ. ფართით, ერთი აივნით, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ადვილი შესაძლებელია გაერთიანება. მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-5 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 39, კობახიძე ოთარი. ფასი შეთანხმებით.
- 2-ოთახიან იზოლირებულ, მაღალჭერიან ბინას (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ლოჯიით, აივნით, დამატებითი სათავსოებით, ტელეფონით, ბარნოვის ქუჩაზე ხიდთან. ეზოდან პირველი სართული, ქუჩიდან — მესამე. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 22-08-11.
- აგარაკს დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში (ჟინვალთან ახლოს). სამსართულიანი კაპიტალური შენობა, ცენტრალური გათბობით, 2000 კვ.მ. ხეხილის ბაღით, წყაროთი. ფასი შეთავნხმებით. მისამართი: ხოშარაულის 29 (დიდუბე). ტელ.: 34-67-98 (საღამოს საათებში).
- **გაგარინის ქუჩაზე მშენებარე 3-ოთახიან ბინას, საერთო ფართი 100 კვ.მ. მე-5 სართული, ორი აივნით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**
- საგურამოში ახატანი 2 სართულიან სახლს მანსარდით 1500 დოლარი. ტელ.: 39-16-61.
- ან ვცვლი აგარაკს ნაფეტვრებში. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით, გარაჟით. 1-ოთახიან ბინაზე თბილისში. 30-23-02 ან 39-87-92.
- 3-ოთახიან ბინას წერეთელზე გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე 8-სართულიანის მერვე სართულზე. 13000 დოლარი.
- საკუთარი სახლი ღრმაღელეს მეტროსთან.
- ერთ ოთახს შუშაბანდით კუმისის ქუჩაზე. ტელ. 96-28-94.
- ვაგირავებ 1 ოთახს შუშაბანდით საოჯახო ნივთებით. ტელ. 96-28-92.
- კარგად გარემონტებულ 3-ოთახიან ბინას ჭავახიშვილის ქუჩაზე (კალინინი) პატარა მანსარდით ყველა მხრიდან რკინის კარებებით და რკინის ჟალუზებით, „კალონკით“.
- 1,5 გარმონტებული ბინა, რკინის კარებით, ტელეფონით. დიღმის მასივში გარაჟითაც და უგარაჟოდაც. მეცამეტე სართული.
- იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა ტელეფონით, სარდაფით, საკუჭნაოთი 3-სართულიანის მეორე სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე.
- 3-ოთახიანი სუფთა ბინა ჭერი 2,75 დიდი დილომი მეორე მიკრორაიონში მეთერთმეტე სართული 7000 დოლარი.
- ან ვცვლი ოზურგეთიდან თბილისში 2-ოთახიან ბინაზე ორსართულიან ბლოკის ახლადაშენებულ სახლს ტელეფონით ხეხილიანი ეზოთი (700 კვ.მ.). 11 ოთახიდან 3 არის გამზადებული საცხოვრებლად. ტელ. ოზურგეთში: 63909; 65595. თბილისში: 988333 ლევანი.
- დიღმის გამზ. მესამე კვარტალი ა კორპუსში. 9 სართულიანის მეხუთე სართულზე ჩეხური პროექტის ერთოთახიან ბინას ლოჯით, დიდი სამზარეულოთი. დიდი შესასვლელით. 7000 დოლარი. ტელ. 38-65-44.
- ოროთახიან კერძო ბინას ეზოთი. სვანეთის უბანში. ტელ.: 960986 ნელი. 7000 დოლარი. ერთოთახიანი არის ეზოში. ტელ.: 96-09-86. ნელი.
- ოროთახიანი ბინა პავლოვის 34 ა. ტელ.: 39-69-06.
- ან ვცვლი კაპ. სახლს სუფთა მდგომარეობაში ტელეფონით. დამხმარე სათავსოებით. სოფ. გლდანში რუსთაველის ქ. № 10. ტელ.: 36-22-84. კობა, ფასი შეთანხმებით.
- მიწის ნაკვეთს ვეჯინში ტელ.: 39-81-04.
- დოლიძის ქუჩაზე 2-ოთახიანი ბინა ლოჯით. მისამართი: მე-4 კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 17. ტელ.: 36-74-93. საღამოს საათებში. იკითხეთ ლიკა.
- სასწრაფოდ! 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას 4-სართულიანი სახლის მესამე სართულზე. ოთახების ფართია 25+25+20, ლოჯია 10 კვ. მ. ჰოლი — 11 კვ. მ. საერთო ფართი — 110 კვ. მ. ჭერი — 3,60 მ. აბაზანა და ტუალეტი — ცალ-ცალკე. მუხის პარკეტი, რკინის კარი, აივანი გადაჰყურებს ქუჩას. მცირე რეკონსტრუქციის ხარჯზე კეთდება მეოთხე ოთახი, ეზოში მანქანის სადგომით, ტელეფონით, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე. ტელ.: 95-44-83. საწყისი ფასი 28000 დოლარი.
- 5-ოთახიან საუკეთესო რემონტიან არასტანდარტულ ბინას ვაკეში ბარნოვის ქუჩაზე. საკუთარი ეზოთი, სარდაფითა და ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- **სასწრაფოდ 2-ოთახიან ბინას ალ.ჭავჭავაძის № 5-ში. იზოლირებულ კარგ ბინას მე-2 სართული. ტელ.: 22-41-38; 99-65-86.**
- სასწრაფოდ ჩუღურეთის რაიონში ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე 2-ოთახიან სუფთად გარემონტებულ ბინას და ამავე სახლის პირველ სართულზე ერთ ოთახს შუშაბანდით, ორი სარდაფით, ტელეფონით. ფასი 7000 აშშ დოლარი. ტელეფონი: 96-98-80, ციური.
- ბახტრიონზე, მხატვრების კორპუსში, მესამე სართულზე, 5-ოთახიან არასტანდარტულ, სუფთა ბინას, ტელეფონით, დიდი ლოჯით, სამი აივნით, ორი ტუალეტით, სარდაფით, მიშენების პერსპექტივით (საერთო ფართი 200 კვ.მ.), მანქანის სადგომი ადგილით. ფასი 60000 დოლარი. ტელეფონი: 37-16-63.

### ვიყიდი

- სასწრაფოდ ორ ან სამოთახიან ბინას გლდანში 3500-4000 დოლარის ფარგლებში. მე-7, მე-8 მიკრორაიონებს და მეხუთე სართულის ზემოთ ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-12-21, 38-02-30, 93-16-37.
- 2-ოთახიან ბინას დიღმის მასივში ან დიდუბეში. ტელ.: 30-03-27 (საღამოს საათებში).
- მიწის ნაკვეთს ან პატარა სახლს ეზოთი ვერაზე, სოლოლაკში, მთაწმინდაზე. ტელ.: 99-70-78, იკითხეთ მანანა.
- სამოთახიან ფინურ სახლს. ტელ.: 60-05-22.
- ეზოიან სახლს მეტროსთან 1კვ.მ. რადიუსში. ტელ.: 98-32-85. მარინა. 8000 დოლარის ფარგლებში.
- 1,5 ჩეხურს ან 2 ოთახიან ბინას 3500 დოლარად. ტელ.: 96-23-76. (იკითხეთ ეკა).
- სამოთახიან ბინას მიშენებით დავით გურამიშვილის მეტროსთან (ყოფილი თემქის), 5-სართულიანი აგურის სახლის მე-3 სართულზე. საერთო ფართი 100 კვ.მ. ჭერი 2,60. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-31-82, იკითხეთ გიორგი.
- ნაკვეთს ცხვარიჭამიაში, ფართობი 600 კვ.მ. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 38-54-20.
- წყნეთში 2-სადარბაზოიან, 2-სართულიან სახლის პირველ სართულზე (ბელეტაჟი) კუთხის ბინას, ვანით, ტუალეტით, სამზარეულოთი, მიშენების პერსპექტივით, ტელეფონით, საბოსტნე და მანქანის სადგომი ადგილებით. ტელ.: 29-86-55, 73-78-90.
- ნაკვეთს კვეხეთში (ბეთანიაში), 600 კვ.მ. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 38-54-20.
- ვაკეში, უნივერსიტეტთან, არასტანდარტულ, იზოლირებულ პრივატიზებულ ოთხნახევრიან ბინას ტელეფონით, ახალი რემონტით. ტელ.: 22-69-46.
- 1,5 ბინას გლდანულაში, პირველი კორპუსი, მე-4 სადარბაზო, ტელეფონით, გარემონტებული, 66 კვ.მ. ტელ.: 95-31-62.
- 2-ოთახიან ბინას, 96 კვ.მ. მე-13 სართული.
- აბანოთუბანში 1,5 ბინას მე-2 სართულზე.
- 2-სართულიან კაპიტალურ სახლს 250 კვ.მ. მსხმოიარე ხეხილის ბაღით, ტალავერით. საცხოვრებელი ფართი 160 კვ.მ. მეტრო „ღრმაღელესთან“.
- 4-ოთახიან ბინას ბალანჩივაძის ქუჩაზე, მე-12 სართულზე.
- 1-ოთახიან ბინას მეტრო „დელისთან“, მე-2 სართულზე, ჭერი 2,60, ტელეფონით, აივნით, სარდაფით.
- 2-ოთახიან ბინას „დელისთან, ჭერი 2,65, ტელეფონით, გარემონტებული.

### ვცვლი

- ერთოთახიან, არასტანდარტულ ბინას, საერთო ფართით 36 კვ.მ. ჭერი — 3,10 მ; (სანტექნიკა სარემონტოა), ორნახევრიან ბინაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, მე-3 მიკრორაიონში (რაიკომის მიდამოებში). ტელ.: 38-76-14, იკითხეთ ნატა.
- ბინას დიდუბეში, ეკლესიის პირდაპირ, 5-ოთახიან ბინას კარგი რემონტით, გარაჟით და ოთახნახევრიან ბინას. საერთო ფართი 80 კვ.მ. მეორე-მესამე სართულზე საკუთარ სახლზე ეზოთი საბურთალოზე. ჩეხური პროექტი.

### ვაქირავებ

- **ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ვერაზე, ავეჯით, მაცივრით; რჩეულიშვილის ქუჩა №32-ბ-ში, მე-6 სართული (ყოფილი ხემიონოვკის დასახლება). ტელ.: 61-52-13.**
- დადიანის ქუჩაზე 1-ოთახიან ბინას მეტრო „თავისუფლების მოედანთან“ 80 დოლარად. ტელ.: 39-89-42. ელიკო.
- 1 ოთახს მეტრო „დელისთან“ იაფად. ტელ.: 39-63-30.
- ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონში 2-ოთახიან ბინას მესამე სართულზე; ტელ.: 39-63-39.
- 1 ოთახს მეტრო „დელისთან“ ასათიანის ქ. № 4. ტელ.: 39-60-54.
- 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას მეტრო „დელისთან“ ტელ.: 31-78-44, 39-60-54.
- ოროთახიან ბინას გარემონტებულს. ტელ.: 23-17-31.
- ვაკეში სამოთახიანი ბინის 1 ოთახს. 50 დოლარად. ტელ.: 29-20-69.
- ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველაზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან. ტელ.: 23-32-92; 39-18-22.
- 2-ოთახიან არასტანდარტულ ბინას, ბარნოვის ქუჩაზე. ტელეფონით და ავეჯით. თვეში 120 დოლარი. ტელ.: 38-01-11.
- 2-ოთახიან ბინის 1 ოთახს საბურთალოს ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-24-91.
- 1-ოთახიან ბინას ყაზბეგის 35-ა-ში. ტელ.: 39-22-31.
- ბინას მეტრო „დელისთან“ ავეჯით, 6 თვით. ტელ.: 39-17-27.
- წყნეთში 1 თვით 2-ოთახიან ბინას სამზარეულოთი, ვანით, ტუალეტით, ორი აივნით, ავეჯით, კეთილმოწყობილია. საუკეთესო ეზო ფიჭვნარში. მე-2 სართული. ტელ.: 96-40-82,იკითხეთ ბაია ან ლიკა.
- 1-ოთახიან ბინას მეტრო „დელისთან“. ტელ.: 38-45-75.
- 2-ოთახიან ბინას ფალიაშვილზე თავისი ავეჯით და ტელეფონით. საწყისი ფასი 150 დოლარი. ტელ.: 37-10-92, იკითხეთ სვეტა ან გია.
- ოთახს მეტრო „დელისთან“. ტელ.: 39-63-30.
- 2-ოთახიან ბინას ბელეტაჟზე რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან 5 ოქტომბრიდან. ტელ.: 37-23-78.



### ვყიდი

- ავტომანქანა გაზ 24-10. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 68-43-92.
- **ვყიდი ავტომანქანა ზილ-133-ის ძარაზე, კამაზის ძრავით („კრაკადილი“). 1988 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ფასი 7500 დოლარი. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**

### ვიყიდი

- მავთულს 4-5 მმ, კატანკას 8-10 მმ და ფოლადის ფურცლებს 3 მმ. ტელ.: 95-22-83.
- გუდრონს და მინა ქსოვილს. ტელ.: 96-80-99.



### ვყიდი

- იაპონია-ჩინეთის წარმოების რადიო-ტელეფონს, იდეალურად მუშაობს ჩვენს პირობებში გარანტიით. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 72-41-25, იკითხეთ ჯანო.
- კორეის წარმოების ახალ აუდიო ფაქსს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-31-67.
- ტელევიზორს „შილიარისი“ 42 სმ დიაგონალი. ჩამონტაჟებული აქვს პალსეკამის ბლოკი. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 72-41-25.
- საქსოვ მანქანას „ნივა“ ორი პრისტავკით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-41-25. ტექნიკა
- ვყიდი ახალ, გაუხსნელ ვიდეომაგნიტოფონს „სამსუნგი“. ფასი 400 დოლარი. ტელ.: 99-93-73

### სხვადასხვა

- იყიდება ჩეხური წიგნის თაროები. 1 ცალის ფასი 20 დოლარი. ტელ.: 36-46-47.
- იყიდება ანტიკვარული ბრინჯაოს ჭაღი, მთის ბროლის, მსხლის ფორმით, 7 ნათურით. ტელ.: 95-08-19 (დღისით). თემური.
- იყიდება 18 კილოვატიანი დიზელ გენერატორი ახალი 1500 დოლარი. 8 კილოვატიანი ბენზინ გენერატორი ბორბლებზე, ახალი. მოყვება „ატბოინი მალატოკი“ და სვარკის აპარატი 1000 დოლარი 1/2 კილოვატიანი ბენზინ — გენერატორი, ახალი. 2.200.000 რუბლი. ტრაქტორი T-150, 1980 წლის გამოშვება. ნამუშევარი აქვს 150 სთ. არის კომპლექტში 3700 დოლარი. ტელ.: 95-22-83. ნუკრი, თამრიკო.
- ვყიდი ანტიკვარულ შავი ფერის გერმანულ სამპედლიან ჩუქურთმებიან საკონცერტო პიანინოს „კალმანს“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ვყიდი ვიეტნამურ შალის ხალიჩას ახალს 3X2. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ვყიდი ლოგინის 2 გადასაფარებელს 150X2. სირიული წარმოების, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ჭვიყვან ბავშვებს 3 წლიდან 6 წლამდე, 10 საათიდან 18 საათამდე. 23-54-89. ქალ. ლამარა.
- ვასწავლი სალაპარაკო ენას ინგლისურში და რუსულში, ვამზადებ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. ტელ.: 96-28-94.
- ვყიდი ბელორუსიის კედელს და მაცივარს „პამირონს“. ტელ.: 96-28-92.
- იყიდება პერსონალური კომპიუტერი „რობოტრონი 1715ა“ (მოდერნიზირებული), ფართო პრინტერით, „რობოტრონი 6312m“. მოყვება სრული პროგრამული უზრუნველყოფა აგრეთვე დოკუმენტაცია და სისტემური ცნობარი რუსულ ენაზე. ტელ.: 34-46-46. დათო.
- ვყიდი ხელით საქსოვ მანქანა ზინგერს და ახალ ჩინურ ადიალებს ყავისფერს თეთრ ფონში. ტელ.: 95-72-48.
- ვყიდი ავტობუსს „აპოლონი“. საკუთარი 734418. საკაშვილი პაატა.
- ვყიდი ბავშვის ჩეხურ სკამს, საკერავ მანქანას, ფეხის და ხელის ყურძნის საჭყლეტს, რბილ ტახტს, გიტარას „ლენინგრადი“, გერმანულ აკორდეონს, „პრაიგრივატელს“, პიანინოს. ტელ.:39-69-06.
- ვყიდი ქსეროხს „“ ახალი. ფასი 1700 დოლარი. ტელ. 95-22-83. 10-დან 3 საათამდე. თამრიკო ან ნუკრი.
- ვყიდი პიანინოს ან ვცვლი საფეხრო ჯიხურზე. ტელ. 66-56-13, დილის ან საღამოთი.
- ვყიდი 5 ცალ რკინის ფურცელს. ზომები 2 მ.55 სმ. სიგრძე, 1,07 მ. სიგანე, 2 მმ სისქე. 3 ცალ კუთხოვანას თითო 6,5 მ. სიგრძით. ფასი შეთანხმ. ტელ.: 31-83-54. მანანა.
- იყიდება პიანინო „ბელორუსი“ გერმანული კლავიატურით, მუხის პარკეტი 8 კვ.მ. იყიდება იაპონური ქვაბების კომპლექტი ტელ.: 39-81-04.
- ვამზადებ გერმანულში სპეციალური მეთოდით, გადასახადი თვეში 20 დოლარი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 39-07-29.
- ვყიდი დახლმაცივარს. ტელ.: 98-29-41.
- კერძო საბავშვო ბაღი აცხადებს 4-6 წლის ასაკის ბავშვების მიღებას ფრანგული ენის, მუსიკის, ქართული სიმღერების შესწავლით, იმუშავებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე. მისამართი: წინამძღვრიშვილის № 94, I სართული (ეზოდან). ტელ.: 95-69-51. კენაძე.
- **ვყიდი კუთხოვანებში ნაწყობ რკინის ბადეს (ღობესთვის, ნაკვეთისთვის), ბადეარის უჯრედი. მილიანი სიგრძე 3 მეტრი, სიმაღლე 1 მ და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი მილებით, მილების ზომა არის 2 და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26, იკითხეთ ოთარი.**
- **ვყიდი მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის. ზომა 42. ტელ.: 66-19-26; იკითხეთ ოთარი.**
- ვყიდი პიანინოს „ტოკატას“, კარგ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 34-78-87.
- გუდრონს და მინაქსოვილს. ტელ.: 96-80-99.
- აბაზანას, თეთრს, თუჯისას, რუსეთისას. ზომა 1,70 მ. ტელ.: 23-34-45.
- ვყიდი რკინის ემალირებულ (ღვინის) ბაკს, 1200 ლიტრის ტევადობის.
- ვყიდი ჩეხურ გიტარას, 6 სიმიანი და სამედიცინო სასწორს. ტელ.: 29-41-02, 98-38-98.
- ვარ უმაღლესი კატეგორიის ყელ-ყურის ექიმი. ვკურნავ ხახის დაავადებებს, ყურის, როგორც ქრონიკულ, ისე მწვავე ჩირქოვან ანთებებს. საგვარეულო წამლით ვკურნავ კანის დაავადებებს, „ფურუნკულს“ (ძირმაგარას). ტელ.: 23-28-09, იკითხეთ მერი ჭაბუკიანი.
- ვამზადებ მათემატიკაში და ინგლისურ ენაში. ტელ.: 22-46-84.
- ვყიდი 1884 წლის გამოშვებულ გერმანულ პიანინოს „August Forster“-ს. შავი ფერის, კარგად შენახული. საწყისი ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 95-81-39, 37-10-92, იკითხეთ გია ან გუგული.
- ვყიდი როიალს „BLUTNER“, შავი ფერის. ფასი 2000 დოლარი.
- ვყიდი ავეჯს აგარაკისთვის: 2 გარდერობი, ტრილიაჟი, ტუმბა, ტახტი, საწოლი, შავთეთრი ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, წიგნების კარადა, გასაშლელი სავარძელი, საწერი ჟურნალი, სამზარეულოს მაგიდა. ყველაფერი 500 დოლარი. ტელ.: 22-36-11.
- ვისაც სურს მოემზადოს ზოგადი კულტურის საკითხებში საერთო განათლების ასამაღლებლად, დაგვიკავშირდით: 22-75-24.
- ვამზადებ ინგლისურში სწრაფშემსწავლელი მეთოდით. ტელ.: 93-84-85, იკითხეთ ლია.
- ვამზადებ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებს მათემატიკაში და რუსულში. ტელ.: 22-51-26.
- ვყიდი საწერ მაგიდას, წიგნების კარადა-სერვანდს, „სეკრეტერს“, „ტრილიაჟს“, ხელით საკერავ მანქანა „ზინგერს“. ტელ.: 96-31-85, 96-31-53.
- ვყიდი ანტიკვარულ ფრანგულ შირმას როკოკოს სტილში. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 93-38-71.
- ვყიდი რუმინულ კედელს სამეულით „ფილიპა“. შეფუთული და იუგოსლავიის კედელი „გაი“ სამეულით. ტელ.: 66-19-37.
- ვამზადებ სკოლის ასაკის ბავშვებს სახვითი ხელოვნების საგნებში (ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია). ტელ.: 31-03-09 ან 72-17-20, იკითხეთ ზურა (საღამოს საათებში).

## უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ბიურო დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვაში. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58

5-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში, ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე, ზოოპარკის მასივის პირას, ჭერი 3 მ. არქიტექტორების სახლი. ფასი 50 000 დოლარი.

3-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე, ჭერი 3,60 მ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კერძო სახლი პლეხანოვზე ეზოთი, მე-3 სართული, 2 სანკვანძით კაფელში. საჭიროებს კოსმეტიკური რემონტის დამთავრებას პირველ და მეორე სართულზე. ფასი 48 000 დოლარი.

**ფალიაშვილის ქუჩაზე, მე-4 სართულზე, 5-ოთახიანი ბინა, გარშემო აივნებით. მანსარდის მშენებლობა დაწყებულია. 5 წლის რემონტი. ფასი 45 000 დოლარი.**

იყიდება ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, ჭერი 3,10 მ. ფასი 14 000 დოლარი

იყიდება ვერაზე 4-ოთახიანი ბინა 140 კვ.მ. ფართობით, 2 ლოჯია, 2 ბუხარი, მეორე სართული. ფასი 55 000 დოლარი

**უცხოური ორგანიზაცია იყიდის სახლს მეტროსთან ახლოს. საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 300 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. (თანაბრად მეტრო „ღრმაღელესთან“ „ისნამდე“).**

**იყიდება 300 კვ.მ. ფართის ბინა, 3-ოთახიანი, 2-ოთახიანი, 1-ოთახიანი გაერთიანებული, ფანსკრტელის ქუჩაზე. ფასი 57 000 დოლარი.**

4-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე, „ბიპროგორსტროის“ პირდაპირ. ფასი 65 000 დოლარი

იყიდიან 3-ოთახიან ბინას ვერაზე, ვაკეში, საბურთალოს რაიონებში. ფასი 30 000 დოლარამდე.

ცხოვრება

# ოსტატი, რომელიც არავის სჭირდება

**რუსთავში, ერთი ტიპური პროექტის [illegible] ბინაში ცხოვრობს კაცი, რომელსაც [illegible] თოჯინაა, თეატრალური და დეკორატიული, [illegible] ოთახში, [illegible] ოჯახი: გოჩა [illegible]**

[illegible]

ოთახი, სადაც 50 სკამის დადგმა შეიძლება და სცენისთვისაც დარჩება ადგილი, აეიყვანდი 4-5 პროფესიონალ მსახიობს და მაქსიმუმ ერთ თვეში შედგებოდა პრემიერა.

**გოჩა პიესებსაც წერს. მას ურჩევნია თითოეულ სპექტაკლში ჰყავდეს 5-6 ახალი თოჯინა, ანუ ორი სპექტაკლი, ნაცვლად 10-12 პერსონაჟიანი ერთი სპექტაკლისა. თუკი ოდესმე თეატრი ექნება, „ჩამპოს“ დადგამს. მას**



**თოჯინაც ჰყავს, რომელსაც „ჩამპო“ ჰქვია. საერთოდ, სახელსაც არქმევს თოჯინებს.**

— ბოლო დროს გულციევი მშობელი გავხდი — თოჯინებს ვამზადებ იმისთვის, რომ გავყიდო. რა ვქნა, თავი ხომ უნდა ვირჩინო. ჩემი თოჯინები ყველას მოსწონს. მოსწონთ, სანამ გაიგებენ, რომ არსაიდან არ არის ჩამოტანილი — რაკი „ფირმა“ არ არის, არც კარგია და არჩევენ ისევ ის ნაგავი იყიდონ, რაც უხვად შემოდის ირანიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან. ერთ-ერთ კომერციულ მაღაზიაში ვუთხარი, ზუსტად არ ვიცი, ჩინეთიდან ჩამოიტანეს თუ თურქეთიდან-მეთქი. რამდენიმე წუთს ეძებეს მარკა, მერე მაინც დაიტოვეს იმ ფასად, რაც ვუთხარი. გასაყიდ თოჯინებში საღეჭ რეზინებს და კამფეტებს ვდებ — ეს ორმაგი საჩუქარი მოწონებით სარგებლობს.

**თოჯინები უნაკლოდაა შესრულებული: მხატვრული ღირსებების გარდა, თითოეულს მაღალი კლასის ოსტატის ხელი ეტყობა. გოჩა თოჯინებს უმზადებდა რეზო გაბრიაძეს მარიონეტების თეატრისთვის, რუსთავის თეატრს, ქუთაისის თეატრი ახლაც იწვევს სამუშაოდ, მაგრამ დაოჯახებული კაცისთვის ძნელია იქ გადაბარგება. სულ ახლოს მეტრში კი „გადმობრუნებული ღმის ქვაბია“ — ასე ჰქვია რუსთავის თოჯინების თეატრს, რომელიც ხუთი წელია არ მუშაობს: თოჯინები არა ჰყავთ. ერთი თეატრალური თოჯინის ღირებულება — 40 ათასი მანეთი — დირექციამ იძვირა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქსოვილის, მუყაოს, სამნაირი წებოს ფასს (რაც აუცილებელია თოჯინის დასამზადებლად) და ასევე მექანიზმს, ურომლისოდაც არ არსებობს თეატრალური თოჯინა, გამოდის, რომ ოსტატი თითქმის ანაზღაურების გარეშე მუშაობს. ნორმალური მოვლის პირობებში ერთი თოჯინა 150 სპექტაკლს ატარებს — ღირებულების ამოღება 100 სპექტაკლიდანაც შეიძლება.**

— სიამოვნებით ჩავიდოდი თუნდაც ორმოში, თუკი შესაძლებელი იქნება ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება. რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ თეატრზე ოცნება ოცნებად მრჩება. გადავწყვიტე, თოჯინების სასწავლებლის შექმნა. ორი წლის მანძილზე ბავშვები ისწავლიან ხატვას, ფერწერას, ძერწვას, დეკორატიული და ინტერიერის გასაფორმებელი თოჯინებისა და გამოყენებითი დეკორაციების დამზადებას, რთული ყალიბების ჩამოსხმას, კერვას.

კულტურის სასახლე გამომიყოფს ოთახს, შემოსავლიდან 20 პროცენტის ანაზღაურებით. სწავლების მეორე წელს მოსწავლეების მიერ დამზადებული ნაკეთობები გაიყიდება და ავტორები მიიღებენ 30 პროცენტს. სასწავლებელში 10-15 წლის ბავშვებს მივიღებთ გასაუბრების შემდეგ. მანერვიულებს ის, რომ იმ ბავშვებიდან უნდა შევარჩიო მოსწავლეები, რომელთა მშობლებს თვეში 15 დოლარის გადახდა შეეძლებათ (ხარჯების გათვალისწინებით ნაკლები გადასახადი მაზარალებს). სასწავლებლის შექმნით, ვიმედოვნებ, გადავჭრა საარსებო პრობლემები. მერე თეატრზე ფიქრიც შეიძლება...

**შარშან გოჩა სამხატვრო აკადემიაში მიიწვიეს — უარი თქვა, ხელფასი მიზერული იყო და რუსთავიდან თბილისში მგზავრობის ხარჯსაც ვერ ანაზღაურებდა. ამ გაზაფხულს გამოფენაზე მრავალი თბილი სიტყვა უთხრეს, დაპირდნენ... სიტყვები სიტყვებად რჩება, რეალურად კი არავინ უშვებს საქმესთან. რუსთავში პარკის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. გოჩას უბის წიგნაკში ათასგვარი ესკიზი გაჩნდა: ტიტტია ვეშაპი — კაფე-გალერეა, თოჯინა-მაღაზიები, წყალში ჩაძირული საგანძურის დათვალიერება ბათისკაფით, მხიარული კარუსელები.**

— ყველაფერი იყიდება, იყიდე და შეგიძლია გააკეთო, რაც გინდა. მე კი უფულოდ მოვდივარ და ვერავინ დავაინტერესე. ფულიან ხალხს მოგება დღესვე უნდა და ორ-სამ თვეს არავინ დაგიცდის. მე მთლიანად დავაბრუნებ თანხას, მოგების პროცენტსაც მიიღებს სპონსორი. მჭირდება ოთახი, 4-5 მსახიობი და მოქმედების თავისუფლება... ეს ყველაფერი ოცნებაა, თქვენც მშვენივრად იცით.

**ვიცი, მაგრამ იქნებ?!**

**მანანა ამონაშვილი**

მევენახეობა

# შრომით შენარჩუნებული ოაზისი, ანუ საქარის საცდელი სადგური 100 წლის გადასახედიდან

ზესტაფონიდან ქუთაისისკენ მიმავალ ტრასაზე, ფეროშენადნობთა ქარხანას რომ გაცდებით, გზის მარჯვენა მხარეს უკვე შემოსული სიმინდის ყანა მიიქცევს თქვენს ყურადღებას. ყანის შუაზე ყოფს ხის ჭიშკარი და მოასფალტებულ გზას სუფთად მოვლილ ეზოში შევყავართ, რომელსაც რამდენიმე იმერული შენობა ამშვენებს. სწორედ ამ ადგილას 1890 წელს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა საქარის ამერიკული ვაზის სანერგეს, რომელიც მოგვიანებით საქარის საცდელ სადგურად გადაკეთდა. თავდაპირველად საცდელი სადგურის საქმიანობა ვაზის ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებით შემოიფარგლებოდა. შემდგომში მეცნიერული კვლევა გაფართოვდა და საცდელი სადგური თანდათან გარდაიქმნა მევენახეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთ მძლავრ სამეცნიერო დაწესებულებად. აქ, ამჟამად მომუშავე 40-მდე მეცნიერ-თანამშრომლიდან, 8 მეცნიერებათა კანდიდატია.

საქარის საცდელი სადგური წლების განმავლობაში მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. მას საამისოდ თავის დაქვემდებარებაში აქვს სამი საყრდენი პუნქტი: გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში, რომლებიც მომსახურეობას უწევენ თავის რეგიონში მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეს.

საცდელ სადგურში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებასთან ერთად თავიდანვე დამკვიდრდა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ტრადიციაც. აქ გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტები. ბევრი მათგანი აქვე აგრძელებდა შრომით საქმიანობას და შემდგომში მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. წინათ იმ თბილ და შინაურულ გარემოს, რომელიც საცდელი სადგურის კოლექტივში იყო, ახლანდელთან შედარებით უკეთესი ანაზღაურებაც ერთვოდა. ბოლო პერიოდში ახალგაზრდებს გული აღარ მოუწევთ აქ სამუშაოდ. ამის მიზეზი კი ის მცირე, ფაქტობრივად, სიმბოლური ანაზღაურებაა, რომელსაც თანამშრომლები იღებენ.

1987 წლიდან საცდელი სადგურის დირექტორია ბატონი რომან ლომინაშვილი. მან და მისმა თანამშრომლებმა, ფაქტობრივად, თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ამ წლების სიმძიმე. მაშინ, როცა მთელი ქვეყნის წარმოება-დაწესებულებებში ძარცვა-რბევის „შეუქცევადი პროცესი“ მიმდინარეობდა, აქ, დირექტორიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა დარაჯად იყო გადაქცეული, ეზოს და შენობებს რომ არაფერი მოკლებოდა.

ბატონმა რომანმა დამათვალიერებინა უნიკალური ღვინის სარდაფი, სადაც 1905 წლიდან ინახება სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინოები. თაროებზე თითქმის საუკუნის ნაშრომია საფუთად მოვლილი და შენახული. საცდელი სადგურის დირექტორმა სიამაყითა და ერთგვარი სინანულით აღნიშნა იმის თაობაზე, რომ მსოფლიოში ღვინის დამზადების სამი ტექნოლოგიიდან ორი ქართულია — კახური და იმერული. საქართველო მევენახეობის ძირძველი ქვეყანაა და რაოდენ დასანანია, რომ დღეისთვის ასეთი ტრადიციები საფრთხის წინაშეა. არაერთხელ იყო ღვინის სარდაფის გაქურდვის მცდელობა. იმ ხალხისთვის, ვინც აქ საქურდლად მოდიოდა, ღვინო მოსახმარი საქონელია და მეტი არაფერი. აქაური თანამშრომლებისთვის კი ამ სარდაფში თითქმის ასი წლის განმავლობაში ნაგროვები ქონებაა. თანაც ისეთი, რომელიც დიდ ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება აძლებინებს ამ ხალხს, სამიდან ხუთ მილიონ კუპონამდე ხელფასით იმუშაოს. აქ ხომ წუთითაც არ შეჩერებულა მეცნიერული კვლევა-ძიება, არ გაწყვეტილა საუკუნის წინ საფუძველჩაყრილი ტრადიციები. მეცნიერები ნაკლებპრეტენზიული ხალხია და, ჭირჭირობით, უძლებენ სიდუხჭირეს, მაგრამ თუ ცოტა ხანში სახელმწიფომ თავისი ყურადღება არ მიაპყრო ამ უნიკალურ სამეცნიერო დაწესებულებას, იგი დასაღუპადაა განწირული. ათ წელიწადში, როგორც ბატონმა რომანმა თქვა, კადრების ისეთი დეფიციტი გაჩნდება საცდელი სადგურის კოლექტივში, რომ საქმის გამგრძელებელი აღარ იქნება. ადგილობრივი გამგეობა, პირადად ბატონი ჭემალ გოგოძე მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს საცდელ სადგურს, ეხმარება მას, რითაც შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ არის.

საქარის საცდელი სადგურის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი სამომავლო გეგმები აქვს. თეორიული მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკულ საქმიანობასთან. საცდელი საქმის წარმოებისთვის მათ მფლობელობაში მყოფი 150 ჰა მიწის ფართობიდან 70 ჰა — ვაზისთვის გამოსადეგია. ამჟამად 17 ჰა-ზეა გაშენებული ვაზი. ამ გაზაფხულზე, მძიმე პირობების მიუხედავად, კიდევ ერთ ჰექტარზე ჩაიყარა ვაზის უნიკალური ჯიშები. 7-8 ჰექტარი მიწის ფართობი უკვე დამუშავებული და გამზადებულია შემოდგომაზე დასარგავად. საცდელი სადგურის დირექტორი ბრძანებს: თუ შეღავათიანი კრედიტები გვექნება, მთელ 70 ჰექტარზე ვაზის გაშენება გვაქვს გადაწყვეტილი.

დღეს საქართველოში ვაზის გაშენება საშური საქმეა. მით უმეტეს, ახლა, როცა მიწების პრივატიზაციის შემდეგ მოსახლეობამ თითქმის გაჩეხა და გააჩა-



ნაგა „კომუნისტების დროინდელი“ ვაზი, ან მოუვლელობის გამო ხმება. ცოტა ხანში მსოფლიოში სახელგანთქმული ჩვენი ღვინოების დასამზადებელი ნედლეული, ფაქტობრივად, აღარ გვექნება.

საქარის საცდელი სადგურის თანამშრომლები კარგად ხედავენ მოსალოდნელ საშიშროებას და, ამიტომაც, ასე ელოლიავებიან შენარჩუნებულს და აქამდე მოტანილს.

ჩვენი წინაპრები ნებისმიერი ძნელბედობის ჟამს ახერხებდნენ ვაზის კულტურის მოვლასა და გახარებას. დღევანდელ მთავრობასა და ხელისუფლებაზე არანაკლებ უჭირდა 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, მაგრამ მისი მეცადინეობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1919 წელს საქარის ამერიკული ვაზის სანერგე საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურად გადაკეთდა და ყველა პირობა შეექმნა კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლისთვის.

ასეთივე შველა და ხელშეწყობა სჭირდება საქარის საცდელ სადგურს დღესაც, რათა მისმა ახლანდელმა თანამშრომლებმა წინაპართა მიერ დაწყებული საქმის ღირსეულად გაგრძელება შეძლონ.

**ლელა ხიდაშელი**

ფაქტები და მოვლენები

## ისლამისტი ტერორისტები საფრანგეთში

ზაფხულის თვეებში პარიზში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა. ჯერ იყო და 11 ივლისს მოკლეს პარიზის მეჩეთის იმამი საჰრავი, ცნობილი თავისი ზომიერი შეხედულებებით. შემდეგ, 25 ივლისს და 17 აგვისტოს პარიზის მეტროს სადგურებში აფეთქდა ბომბები, რომლებმაც დააზარალეს სრულიად უდანაშაულო პარიზელები. არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობენ, რომ ტერაქტები ალჟირის ისლამური სამხედრო დაჯგუფების მიერ უნდა იყოს მოწყობილი. მისმა განშტოებამ ე.წ. „გენერალურმა ხელმძღვანელობამ“, თავის თავზე აიღო 17 აგვისტოს აფეთქება.

ისლამური სამხედრო დაჯგუფება ალჟირში გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით, როგორც თავისი თანამემამულეების, ისე უცხოელების მიმართ. ფრანგული გაზეთის „მონდის“ მონაცემებით, ექსტრემისტებმა მოკლეს 90 უცხოელი, რომელთა შორის 30 ფრანგია. დაჯგუფება მიზნად ისახავს, შექმნას სახალიფო შეიარაღებული ბრძოლის გზით, რომელიც მიმართულია „მუსლიმთა მიწაზე ებრაელების, ქრისტიანებისა და ყველა ურწმუნოს ლიკვიდაციისკენ“. თავიანთ საშინაო მტრად ისინი მიიჩნევენ შემოქმედებით ინტელიგენციას, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, იმ ქალებს, რომლებიც უარს ამბობენ დაემორჩილონ ისლამურ კანონებს. ისლამური დაჯგუფების ბირთვს შეადგენს ავღანეთში მომზადებული 2 ათასი კაცი. ამის ნიმუშია 70-იან წლებში მოქმედი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია — „შავი სექტემბერი“, რომელმაც 1972 წ. მიუნხენის ოლიმპიადაზე გაანადგურა ისრაელის გუნდი. თავიანთი ტერორისტული აქტებით საფრანგეთში ალჟირელი ისლამისტები ცდილობენ, აიძულონ საფრანგეთის ხელისუფლება, შეწყვიტოს თანამშრომლობა ალჟირის სამხედრო რეჟიმთან.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ შვედეთის პოლიციამ საფრანგეთის მოთხოვნით სტოკჰოლმის გარეუბანში დააპატიმრა ევროპაში ისლამური სამხედრო დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბდულქარიმ დენეში ცოლიანურთ. ეჭვი აქვთ, რომ პარიზის მეტროს სადგურებში მომხდარ აფეთქებებში მისი ხელი ურევია. 40 წლის დენეშმა საბრძოლო მომზადება გაიარა პაკისტანსა და ავღანეთში. 4 წლის წინათ მან საცხოვრებლად აირჩია შვედეთი, რომელიც ახორციელებს ლიბერალურ პოლიტიკას ლტოლვილებისა და პოლიტემიგრანტების მიმართ. მან დააარსა და გამოსცემს არალეგალურ გაზეთს „ალ-ანსარ“, რომელიც იბეჭდება ლონდონში ან ვარშავაში და ვრცელდება მთელ ევროპაში.

**გოჩა ჯაფარიძე**

## ბოსნია-ჰერცოგოვინა: ბუტროს ღალის პოზიცია

გასული დღე-ღამის განმავლობაში ნატოს ავიაცია და გაეროს სწრაფი რეაგირების კორპუსი ინტენსიურად ბომბავდნენ და საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ ქრისტიან სერბთა პოზიციებს. გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ღალიმ განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციები არ შეწყდება მანამ, სანამ სერბები ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, არ გაიყვანენ თავიანთ ძალებს სარაევოდან სულ ცოტა ოთხი კილომეტრის დაშორებით. ამავე დროს, მან არაორაზროვნად გააკრიტიკა რუსეთის აშკარად პროსერბული პოლიტიკა ამ საკითხში. ღალის აზრით, ეს პოზიცია ერთგვარ სტიმულს აძლევს ბოსნიელ სერბ ქრისტიანებს და გარკვეულწილად ამის გამოც უგულვებელყოფენ გაეროსა და პროგრესული მსოფლიოს სამართლიან მოთხოვნებს.

## ჟირინოვსკი მოითხოვს...

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის (რლდპ) ლიდერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ, უშიშროების „ჩრდილოვანმა“ მინისტრმა სერგეი აბელცევმა და სახდუმის ვიცესპიკერმა ალექსანდრ ვენგეროვსკიმ შეადგინეს პარტიის საარჩევნო სიის პირველი სამეული, რომელიც დაამტკიცეს მოსკოვში, 2 სექტემბერს ლიბერალ-დემოკრატთა ყრილობაზე. რლდპ მზადაა შესთავაზოს „რუსეთელებს“ გამაერთიანებელი „საერთოეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი იდეა“, — განაცხადა ყრილობაზე თავის საპროგრამო სიტყვაში ვ.ჟირინოვსკიმ. მისი აზრით, რუსეთი უნდა გახდეს „საბჭოთა რესპუბლიკა მრავალპარტიული დემოკრატიითა და ყოვლისმომცველი ეკონომიკით“. ამასთან, ვ.ჟირინოვსკი დაჟინებით მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს მხოლოდ ტერიტორიული და არა ეროვნულ-ტერიტორიული დაყოფა.

## ერაყი: გადააყენეს მინისტრები

ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა იორდანიაში გაქცეულ გენერალთან ალ-ჰარანთან „მჭიდრო კონტაქტების“ ბრალდებით თანამდებობიდან გაათავისუფლა სამი მინისტრი. სააგენტო „ირნას“ ცნობით, ესენი არიან უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის მინისტრი ჰუმამ აბდელ გაფური, ტრანსპორტისა და კომუნიკაციისა — აჰმედ მურთაზა ჰალილი და სოფლის მეურნეობის მინისტრი ნიზარ ჯუმაა ალ-კასირი.

ერაყის ოპოზიციური რადიოს მტკიცებით, სამივე ყოფილი მინისტრი შინაურ პატიმრობაში იმყოფება.

## ისრაელი: ზეიმი მთლად ისეთი ვერ გამოვიდა

„კავკასიონი“ 5 სექტემბრის ნომერში გაუწყებდათ, თუ როგორი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია არაბულ სამყაროში ისრაელის გადაწყვეტილებამ, ამ დღეს ზეიმით აღენიშნა იერუსალიმის, როგორც ისრაელის მარადიული დედაქალაქის 3000-წლოვანი იუბილე. ზეიმი მაინც გაიმართა, მაგრამ საკმაოდ მრავალი ქვეყნის, მათ შორის რუსეთის საელჩოების წარმომადგენლები მასში არ მონაწილეობდნენ, რამდენადაც ეს საელჩოები მდებარეობენ არა იერუსალიმში, რომელსაც ისრაელი ქვეყნის დედაქალაქად მიიჩნევს, არამედ თელავივში. საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, რომ სირია მიესალმა ამ სახელმწიფოების მიერ ზეიმისადმი გამოცხადებულ ბოიკოტს.

## ჩეჩნეთი-კრასნოდარის მხარე

ყუბანში ჩეჩნეთის ეროვნული აღორძინების მთავრობის წარმომადგენელმა მ.ბასჰანოვმა იტარ-ტასის კორესპონდენტს აცნობა, რომ კრასნოდარის მხარის ლაბინისა და ქალაქ გროზნოს უთუმ-კალინინის რაიონების ადმინისტრაციებს შორის მოხდება შეთანხმების ხელმოწერა ჩეჩნეთისთვის ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ. დოკუმენტში ძირითადად ლაპარაკია ჩეჩნეთის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაზე. მ.ბასჰანოვის სიტყვებით, კრასნოდარი ემზადება ჩეჩნეთის ოფიციალური დელეგაციის მისაღებად. ამ დღეს დაგეგმილია ჩეჩნეთის წარმომადგენლობის ოფიციალური გახსნა, რომლის მსგავსი უკვე მოქმედებს მოსკოვში.

უპასუხა რა შეკითხვას, რა მოხდება ფედერალური ჯარების მიერ რესპუბლიკის დატოვების შემთხვევაში, თუ ჩეჩნებს ერთმანეთის პირისპირ დატოვებენ, მ.ბასჰანოვმა უპასუხა: „ჩაჩაღდება სამოქალაქო ომი და ის გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი მხარე არ გაანადგურებს მეორეს“.

## უკრაინა: მოითხოვენ კუჩმას გადაყენებას

გაიმართა უკრაინის პარლამენტის საზაფხულო არდადეგების შემდგომი პირველი სესია, რომელზეც ოპოზიციის წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ კუჩმა დარტყმებს, ფაქტობრივად, თანაბრად განიცდიდა როგორც მემარცხენე დეპუტატების, ისე უკრაინელ ნაციონალისტთა მხრიდანაც. პრეზიდენტს, ძირითადად, ბრალს დებდნენ კონსტიტუციის დარღვევაში, ეკონომიკური პოლიტიკის არასწორად წარმართვასა და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებლის ფუნქციების „მითვისებაში“. სესიაზე პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა.

## მისის კლინტონის ნაკლებდიპლომატიური მანევრი

აშშ-ს პრეზიდენტის მეორე ნახევარს ქვეყანაში რაიმე ოფიციალური პოსტი არ უკავია, მაგრამ, დაგვეთანხმებით, პრეზიდენტის ცოლობა, თუნდაც ამ თვალსაზრისით, ნაკლებ „პრესტიჟული“ როდია. და, როდესაც ზესახელმწიფოს „პრეზიდენტა“ არაორაზროვნად ილაშქრებს ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ, და თანაც, ამას პეკინში აკეთებს, ამას პოლიტიკოსები და მიმომხილველები ნაკლებდიპლომატიურ მანევრად აღიქვამენ. საქმე ისაა, რომ ჰილარი კლინტონი ამ დღეებში ჩინეთის დედაქალაქში ჩავიდა და სიტყვა წარმოთქვა იქ მიმდინარე ქალთა მე-14 მსოფლიო კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე. ზემოთ აღნიშნულის გარდა, მან განსაკუთრებით გაილაშქრა იმ ანტიჰუმანური კანონის წინააღმდეგ, რომელიც ქალებს უკრძალავს ერთზე მეტი ბავშვის ყოლას, ხოლო ამ სახელმწიფო აქტის დამრღვევთ კი ლამის ადმინისტრაციულ სასჯელებს ადებენ. ჰილარი კლინტონის სიტყვებით, აბორტი და სტერილიზაცია — ცივილიზებულ სამყაროში მიღებული მეტად ინტიმური ნორმაა და მისი დაძალება ან აკრძალვა ლახავს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს.

**კავკასიონი**

მეცნიერება და ტექნიკა

# მოქალაქე ელექტროენერგიას გაყიდის — დიახ, ასე ფიქრობენ გერმანიაში

მკითხველი გაიკვირვებს და იტყვის, განა შეიძლება ეს მოხდეს? წარმოუდგენელია, ჯერჯერობით ხომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქალაქენი ფულს იხდიან სახლში დახარჯულ კილოვატსაათებში? საიდან ექნება მოქალაქეს გასაყიდი ელექტროენერგია? მზისაგან.

1990 წელს გერმანიაში წერდნენ:

ოსკარ ლაფონტენი (საარის პრემიერმინისტრი):

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება იმ ენერგიით, რომელსაც იძლევა მზე. ჩვენი ენერგეტიკული მომავალი უნდა დაეყრდნოს და დაეყრდნობა კიდეც ენერგიის ალტერნატიულ სახეობებს, ესე იგი, საბოლოო ანგარიშში — მზის ენერგიას“.

იოშკა ფიშერი (ჰესენის ყოფილი მინისტრი):

„ჰიდროენერგიის და ქარის ენერგიის წილი ენერგეტიკაში შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მომავლის ენერგოტექნიკა მზის ტექნიკა იქნება“.

ირმგარდ ადამ-შვეტცერი (ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატ-მდივანი):

„სადაო არ არის, რომ მნიშვნელოვანი ენერგომატარებელი მზეა. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ მზის ენერგიის ინტენსიური გამოყენებისგან, რადგან პირველ ყოვლისა, საჭიროა მზის ენერგია ეკონომიურობის საზღვართან მივიყვანოთ“.

1990 წელს გერმანიაში აღნიშნავდნენ, რომ ლიუდვიგ ბელკოვის სახელობის ფონდის გამოკვლევებით გამუდმებული საუბრები მზის ენერგიის არარენტაბელობაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც მზის ენერგიის გარდამქმნელი საშუალებები გაუმჯობესდა, ხოლო მზის ელემენტების სერიული გამოშვების გამო მათი ფასები მკვეთრად შემცირდა. დედამიწის ატმოსფეროს გარეთ მზის სინათლის სიმძლავრე ერთ კვადრატულ მეტრზე 1,4 კილოვატს აღწევს, დედამიწაზე კი შესაძლებელია ამ ფართობზე 100 ვატი სიმძლავრე მივიღოთ. თუკი 1975 წელს მზისგან მიღებული ერთი ვატი სიმძლავრე 180 გერმანული მარკა ჯდებოდა, 10 წლის შემდეგ მისი ფასი 20 მარკამდე შემცირდა, ამასთან, კილოვატსაათი მომხმარებელს ორი მარკა უჯდება. გერმანიის ზოგიერთი მსხვილი ფირმა დაძაბულად მუშაობს უფრო იაფი და ეფექტური მზის ელემენტების დასამზადებლად.



დღისით განათების ბოძზე დამაგრებული მზის მოდული ბატარეას მუხტავს. ღამით ბატარეა ნათურას ანათებს. ყველაფერი ავტომატურად ხდება.

ასე წერდნენ და ფიქრობდნენ ხუთი წლის წინათ გერმანიაში.

რას გვაუწყებს გერმანიის ტელევიზია 1995 წელს?

დღეს გერმანიის სატელევიზიო გადაცემებში ხშირად გადასცემენ ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ ცალკეულ ქალაქებში და სასოფლო ადგილებში მონტაჟდება მზის ელემენტები, ანუ მზის გენერატორები, რომლებიც მზის ენერგიას უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნიან. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ასეთი აზრიც გამოითქვა: სახლის მაცხოვრებლებს, რომლებიც შენობის სახურავზე მზის გენერატორებს დაამონტაჟებენ, შეუძლიათ გაყიდონ ელექტროენერგია.



მზის ენერგით მოდის მოძრაობაში ეს ერთადგილიანი ელექტრომობილი. საათში 40 კილომეტრს გადის. წონა 90 კილოგრამი აქვს.

გაყიდონ ელექტროენერგია? დიახ, თუკი მაცხოვრებლებს მთლიანად არ დაჭირდებათ საკუთარი ელექტროენერგია, შეიძლება მისი ნაწილი ქალაქის საერთო ქსელს გადასცენ. მრიცხველები აღნიშნავენ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიას და ქალაქის მესვეურები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს მაცხოვრებლებს გადაუხდიან.

მაშ ასე, დაამონტაჟეთ სახლის სახურავზე მზის გენერატორი და თქვენ მიიღებთ დამატებით შემოსავალს გერმანულ მარკებში. გენერატორის მუშაობის საგარანტიო ვადა 10-15 წლით განისაზღვრება და ამ ხნის განმავლობაში მის ექსპლუატაციაზე ერთი მარკაც არ დაიხარჯება.

ახლახანს ბავარიის მთავრობამ იმსჯელა, თუ როგორ შეუწყოს ხელი ამ მხარეში მზის გენერატორების საცხოვრებელ სახლებში დამონტაჟებას. იმ მიზნით, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში გენერატორების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილმა ბავარიაში გამომუშავებული მთლიანი ელექტროენერგიის 2 პროცენტს მიაღწიოს, მთავრობამ გადაწყვიტა 1995-1996 წლებში ამ საქმისთვის 67 მილიონი გერმანული მარკა გამოყოს.

ბავარიის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ მზის ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუნხენში ოლიმპიური სტადიონის ახლომდებარე მეტროს სადგურის შესასვლელთან ასეთი წარწერაა გაკეთებული: „მეტროს სადგურის დარბაზი მზის ელექტროენერგიით არის განათებული“. ეს მხოლოდ რეკლამა არ არის. მიუნხენში, სადაც არც კი იციან, რა არის ქალაქში ელექტროენერგიის გამორთვა, სჯერათ, რომ მომავალში ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი წილის გამომუშავება ეკოლოგიურად სუფთა და პერსპექტივაში იაფ მზის გენერატორებს დაეკისრებათ.

ასე სჯერათ გერმანიაში.

* * *

გერმანიაში ჩვენ ვნახეთ მზის მოდულების დამზადება. ვესაუბრეთ არა მხოლოდ იმათ, ვინც გენერატორების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე მუშაობს, არამედ იმათაც, საკუთარი ხელით რომ ამონტაჟებს გერმანულ გენერატორებს მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში.

სპეციალისტები დიდი იმედით მოელიან მომავალში გენერატორებზე ფასების შემცირებას და ამის შედეგად მზის ენერგიის უფრო ფართოდ გამოყენებას, ერთმა მათგანმა გვითხრა — არა მხოლოდ ბავარიის, არამედ იაპონიის მთავრობამაც დაიწყო ამ საქმისადმი ხელშეწყობა და ათობით მილიონი დოლარი გამოყო.

ყურადსაღებია, რომ არც გერმანიაში და არც იაპონიაში მთავრობები მარკებს და დოლარებს უანგარიშოდ და უკონტროლოდ არ ხარჯავენ.

**ანდრო კარბელაშვილი**

კალათბურთი

# არვიდას საბონისი — ახალი ამოცანები



**როგორც ცნობილია, საბჭოთა კალათბურთს პროფესიულ კლუბებთან თითქმის არავითარი კავშირი არა ჰქონდა. არადა, მეტად საინტერესო იქნებოდა სახელოვან ლიტველ კალათბურთელ არვიდას საბონისის ნბა-ს რომელიმე წამყვან გუნდში გამოსვლა. ახლა ეს შესაძლებელი გახდა. მალე საბონისი „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ ცნობილი კლუბის წევრი უნდა გახდეს, რომელთანაც კონტრაქტი ახლა მზადდება.**

**აი რამდენიმე ნაწყვეტი არვიდას საბონისის ერთ-ერთი ინტერვიუდან:**

— სამი წლის წინ ბარსელონაში ლიტვის ნაკრებს განსაკუთრებული საბრძოლო განწყობილება ჰქონდა. რაც არ უნდა იყოს, ეს გახლდათ პირველი დიდი ტურნირი, სადაც ლიტვის დროშით გამოდიოდით. შეინარჩუნეთ ასეთი ენთუზიაზმი?

— **რა თქმა უნდა, მეორე ბარსელონა უკვე აღარ იქნება. პირველი გამოსვლა სულ სხვა რამაა. მაგრამ, ენთუზიაზმისგან ზოგი რამ დაგვრჩა.**

— ლიტვის დღევანდელი ნაკრები ორი თაობის მოთამაშეებისგან შედგება. ერთია ძველი „ჟალგირისი“, ძველი საბჭოთა კავშირის დროისა, მეორე გახლავთ „ახალი ტალღა“, რომლის წარმომადგენლებმაც თავი უკვე ლიტვის დამოუკიდებელ ჩემპიონატში გამოიჩინეს. შეუძლიათ თუ არა ახალგაზრდებს თქვენი ოსტატობის დონემდე ამაღლდნენ?

— **ბევრი უნდა იმუშაონ. მაშინ შეიძლება ჩვენს დონემდე მოაღწიონ კიდეც.**

19 წლის ილგაუსკასი მიწვეული იყო გასინჯვაზე „მინესოტა ტიმბერვულზში“.

— **მას მშვენიერი მონაცემები აქვს. არ მინდა იმის თქმა, რომ ილგაუსკასს ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, ეყოფა თუ არა ნებისყოფა, რათა ნბა-ს დონის მოთამაშე გახდეს.**

— თქვენ 9 წლის განმავლობაში გეპატიჟებოდათ „პორტლენდი“, მაგრამ უარით ისტუმრებდით. ახლა კი ნბა-ში თამაში მოისურვეთ.

— **შარშანდელი წლის მიწურულში „რეალმა“ ხელფასის გადახდა დაგვიგვიანა. გვითხრეს: გვიჭირს, ცოტა მოითმინეთო. სწორედ ამ დროს ჩამოვიდნენ „პორტლენდის“ წარმომადგენლები. ავილე და დავთანხმდი.**

— იოლად მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?

— **აბა, სად უნდა წავსულიყავი „რეალიდან“? საბერძნეთში თამაში არ მინდოდა. არა, ევროპაში უკვე აღარ დავბრუნდები. ვითამაშებ ამერიკაში, შემდეგ შინ დავბრუნდები და კარიერასაც ამით დავამთავრებ.**

— რამდენ ხანს აპირებთ კიდევ თამაშს?

— **ოთხწლიანი კონტრაქტი რომ დამთავრდება, მეტის გაგრძელება, ვფიქრობ, აღარ ეღირება.**

— კაუნასში **სწრაფი** ტემპით მიმდინარეობს საბონისის საკალათბურთო სკოლის მშენებლობა. როგორი იქნება ეს სკოლა?

— **ამ კითხვაზე, როცა სკოლა აშენდება, მაშინ გიპასუხებთ.**

— იცით, რა დაუჯდა ასეთი სკოლის აშენება შარუნას მარჩულიონისს? მილიონ დოლარზე მეტი!

— **თქვენ უკვე გამოიანგარიშეთ?**

— მე კი არ გამოვიანგარიშე, ამაზე თვით მარჩულიონისი აშკარად ლაპარაკობს. თქვენ კი გთხოვთ, სხვა საიდუმლოება აგვიხსნათ: რატომ თამაშობთ ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მეთერთმეტე ნომრით?

— **ეს რა საიდუმლოებაა?! როცა მე „ჟალგირისში“ მოვედი, ეს ნომერი მომცეს. იქიდან დაიწყო.**

— თუ ნბა-ს არ გავითვალისწინებთ, თქვენ ყველა შესაძლებელ თუ წარმოუდგენელ წარმატებებს მიაღწიეთ. გულშემატკივრები გაღმერთებენ. თქვენ თავი ბედნიერ ადამიანად მიგაჩნიათ?

— **რატომაც არა?! საუკეთესო ოჯახი მაქვს, ბავშვები — ჯანმრთელები, მშობლები — ცოცხლები. განა ეს არ არის ბედნიერება?**

— კიდევ არის ერთი რამ, რომელსაც ძალაუფლება ეწოდება. ახლა ბევრ ცნობილ სპორტსმენს იზიდავს პოლიტიკა: პელე მინისტრია, ბარკლი გუბერნატორობას აპირებს. თქვენ რაღა [illegible]? თქვენი სუპერპოპულარობით, თუ გნებავთ, [illegible] წევით ქვეყნის [illegible]ბას.

— **თქვენმა კითხვამ დამაგვიანა. იყვნენ ჩემთან, წინადადება მომცეს, პოლიტიკისთვის მიმემართა.**

— რა უპასუხეთ?

— **კუთხარი, ჩემთვის თავი დაენებებინათ. ეს ჩემი საქმე არ არის, ძალიან ცუდი ხუნი უდის.**

— ერთი სიტყვით, კალათბურთი და ოჯახი. ციან, კინაღამ არ დამავიწყდა, თქვენ ხომ თევზაობა გიყვართ. როგორია ამ მხრივ თქვენი რეკორდი?

— **ერთხელ, ლიტვაში,** დიდი თევზი დავიჭირე, 74 კილოგრამს იწონიდა.

[illegible] საკალათბურთო [illegible] საბონისს უფ[illegible] „[illegible]ეზების“ და[illegible] ავილოთ, მა[illegible] მაქილ ო'ნილი — [illegible] ფიქრობთ, რამდენ [illegible] არიონის? არც მე[illegible] არც ნაკლებს, 136 [illegible].

ერთი სიტყვით, არვიდას [illegible] ახალი უმნიშვნელო[illegible] ამოცანების წინაშე დგას.

მოამზადა

**გივი თორელმა**

P.S. ინტერვიუ საბონისის ნბა-ში წასვლამდე არის ჩაწერილი. თუმცა, მკითხველმა ალბათ იცის, რომ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში“ ლიტველი ვარსკვლავის კონტრაქტი არ შედგა და იგი დღეს „ჟალგირისის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

ჭადრაკი

# ორი ლიდერი: არახამია და კახიანი

კიშინოვი. (ჩვენი სპეც.კორ.) ქალთა საერთაშორისო ტურნირის მესამე ტური ქართველი მოჭადრაკეების დიდი წარმატებით აღინიშნა.

ქეთევან არახამიამ მეტად მნიშვნელოვანი პარტია მოუგო დიდოსტატ ცინს (ჩინეთი). შესანიშნავად ითამაშა 17 წლის მაია ლომინეიშვილმა, რომელმაც მოუგო გამოცდილ საერთაშორისო ოსტატ რადუს (რუმინეთი). მირანდა ხორავამ დაამარცხა ბულგარელი დიდოსტატი სტეფანოვა, ნინო ხურციძემ — კრუპკოვა (ჩეხეთი). ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ქეთევან კახიანმა (გერმანია), რომელიც სკრაპჩენკოს (მოლდოვა) ეთამაშებოდა. ნანა იოსელიანმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა მისანოვიჩთან (ბოსნია და ჰერცეგოვინა), ნინო გურიელმა ვანგთან (ჩინეთი), ნათია ჯანჯღავამ — შუმიაკინასთან (რუსეთი), ხოლო ნატო ჟძგვერაძემ მაქსიმოვიჩთან (იუგოსლავია).

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ მაქსიმუმი — სამ-სამი ქულა მხოლოდ ორ მონაწილეს, არახამიასა და კახიანს აქვს. მეოთხე ტურში ისინი ერთმანეთს ხვდებიან. 2,5 ქულა აქვთ გალიამოვას (უკრაინა), ჟუ ჩესა და ვანგს (ორივე ჩინეთი) და მილანოვიჩს (ბოსნია და ჰერცეგოვინა).

ტყვიის სროლა

# მსოფლიო თასი

გერმანიის ქალაქ მიუნჰენში დასრულდა მსოფლიო თასის სუპერფინალური გათამაშება სპორტული პისტოლეტით სროლაში. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. ასპარეზობაში სხვებთან ერთად სეულის ოლიმპიური ჩემპიონი, თბილისელი ნინო სალუქვაძეც მონაწილეობდა. ნინომ ამ ტურნირისთვის მზადების ეტაპი ატლანტაში გაიარა და შეჯიბრისთვის კარგად იყო მომზადებული. მან ტურნირი წარმატებით დაიწყო, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. სპორტსმენი ხვალ თბილისში ჩამოფრინდება.

ძიუდოობა

ატლანტა—96




# ქართველი ძიუდოისტების წარმატება





რამდენიმე დღის წინ ატლანტიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომელიც ჯორჯიის შტატის დედაქალაქში ამერიკელთა მიწვევით, სამკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდა. დელეგაციის მიზანი იყო ახლოს გაცნობოდა მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქს და მომზადებულიყო მომავალი დიდი ტურნირებისთვის, რომლებიც ოლიმპიადაზე მოხვედრის ლიცენზიას იძლევიან. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ოლიმპიური სოფელი, სადაც ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს. ჩქარჩქარობით კეთდება ბაზები, მოედნები, სპორტული დელეგაციებისთვის განკუთვნილი კოტეჯები. ზოგიერთ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები არც კი დაწყებულა. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობა შეხვდა საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. იყო ოფიციალური შეხვედრებიც. ქართველ სპორტსმენებს დასვენებისა და ვარჯიშის ყველა პირობა შეუქმნეს.

სამკვირიანი ვიზიტის ბოლოს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობამ იმ მიზნით, რომ მიეღო ოლიმპიური თამაშების გამართვის გამოცდილება, ჩაატარა ამერიკის ღია ჩემპიონატი ძიუდოში, სადაც, დაახლოებით, თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ტურნირში კარგად იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. თავი გამოიჩინა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა, რომელმაც აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული და მძიმე წონაში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა (სპეციალისტების აზრით, ქართველი ფალავანი ფინალში მხოლოდ დაუდევრობის გამო დამარცხდა). საგულისხმოა, რომ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა — ხახალეიშვილი-დავითაშვილი. ამ წონით კატეგორიაში ქართველმა ძიუდოისტებმა აშკარად დაჯაბნეს ყველა მოწინააღმდეგე. ხახალეიშვილისა და დავითაშვილის გარდა, საქართველოს ნაკრებს ვერცხლის მედალი მოუპოვა ივერი ჯიქურაულმაც, რომელიც 78 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.



# მსოფლიო ჩემპიონატზე

ატლანტაში საქართველოს დელეგაციის ვიზიტს დაემთხვა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბატონი გია გაღდავა.

— მსოფლიო პირველობისთვის მზადების ეტაპი აშშ-ში გავიარეთ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ბატონ ასლან აბაშიძეს გაწეული დახმარებისთვის. მზადების ეტაპის დამთავრების შემდეგ, ამერიკაში გავემგზავრეთ. ატლანტაში ოლიმპიური სოფლის გვერდით სასტუმრო „ამერიკან-ოტელში“ დავბინავდით. ტურნირი საკალათბურთო კლუბ „ატლანტა ჰოუქსის“ სათამაშო დარბაზში ჩატარდა. სამწუხაროდ, ჩვენებმა მოკრძალებულად იასპარეზეს. ყველაზე მაღალი შედეგი, მეოთხე ადგილი, ზაზა თურმანიძემ (130 კგ) აჩვენა. იგი III ადგილისთვის შეხვედრაში ხაბელოვთან დამარცხდა. V ადგილზე გავიდა ელდარ კურტანიძე (90 კგ). უნდა ითქვას, რომ მსაჯებმა აშკარად დაჩაგრეს და საბოლოოდ წააგებინეს. გოგი მაკასარაშვილმა (74 კგ) ორი ბრძოლა მოიგო, მაგრამ ნეკნი მოიტეხა და გამოითიშა ასპარეზობას. დავით ხურციამ (82 კგ) 8 შეხვედრა ჩაატარა და ორჯერ ფრეზე დამარცხდა. პირველი ავრელის თამაშების ჩემპიონთან (8-8), ხოლო მეორე უკრაინელთან (7-7). ორივე შემთხვევაში მსაჯებმა უპირატესობა მოწინააღმდეგეებს მიანიჭეს. ჯაფარიძემ (62 კგ) ძალიან უფერულად იჭიდავა და პირველივე შერკინებაში დამარცხდა. 68 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა ახალბედა კილაძე. მან პირველ შეხვედრაში მხარი იტკინა და გამოეთიშა ბრძოლას.

ამჟამად თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადებით, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში 16 სექტემბერს დაიწყება. შეჯიბრებაზე მიწვეულები არიან უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, რუსეთის და სომხეთის ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენი ფალავნები ამ ტურნირზე გაფართოებული შემადგენლობით იასპარეზებენ, იჭიდავებენ როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდებიც.

# «მანა-95»-ის ნომინანტთა სია

ქართული ვიდეოთეკა[illegible]

მანა

1. **საუკეთესო სატელევიზიო დიქტორი:** ნატა ამაღლობელი — სტუდია TBC, ტელეკომპანია „I არხი“. ნატო ხმალაძე — ტელეკომპანია „რუსთავი-2“. ძეთი კეკელია — „ტელეკომპანია „2 არხი“.

2. **საუკეთესო სატელევიზიო წამყვანი:** ნინო ბალეგაშვილი — „ქორნიუსი“, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. ელენე კვარაცხელია — „უვერტიურა“, სტუდია „მაესტრო“, „I არხი“. ნატო შათირიშვილი — „ფაქტი“, „გურიის ტელევიზია“.

3. **საუკეთესო საინფორმაციო გადაცემის წამყვანი:** თამარ ცაგარეიშვილი; სულხან მელაძე — „ალიონი“, სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტო. ეკა ბერიძე — „მთავარი თემა“, სტუდია TBC, „I არხი“. ნინო აბესაძე — „მაცნე“, ინფორმაციის მთავარი რედაქცია.

4. **საუკეთესო ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა:** „ალიონი“ — სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტო. „ქვიშის საათი“ — ინფორმაციის მთავარი რედაქცია, სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტო. „ვესტნიკი“ — ინფორმაციის მთავარი რედაქცია, სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტო.

5. **საუკეთესო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა:** „TV ინფორმი“ — დ.პატარაია, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. „მთავარი თემა“ — ე.ბერიძე, ლ.ყუბანეიშვილი, სტუდია TBC, „I არხი“. „ექო“ — პ.ჩახნოშვილი, „რუსთავი-2“.

6. **ყველაზე რისკიანი რეპორტაჟი:** „რეპორტაჟი ჩეჩნეთიდან“ — დ.ჩხიკვიშვილი, გ.ვარძელაშვილი, დ.კვიჟინაძე, მსოფლიო საინფორმაციო სააგენტო „რეიტერის“ კავკასიის ბიურო. „გალის ლტოლვილები“ — ბესო სოლომონაშვილი „2 არხი“. „ოჩამჩირის დაცემა“ — მ.მუხელიანი, რ.ბუხსიანიძე, ინფორმაციის მთავარი რედაქცია, სატელევიზიო საინფორმაციო სააგენტო.

7. **საუკეთესო პუბლიცისტური გადაცემა:** „სალამო მშვიდობისა“ — ნ.ჯაფარიძე, მ.არეშიძე, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. „მილიონერთა საქართველო“ — კ.ყანდიაშვილი, სტუდია „აუდიენცია“, ტელეკომპანია PTP. „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ პროგრამა „ექოს“ სპეციალური გამოშვება — პ.ჩახნაშვილი, ი.ონოფრიშვილი, „რუსთავი-2“.

8. **საუკეთესო შემეცნებითი გადაცემა:** „ბაზიერი შემოსულა“ — ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია, „I არხი“. „კაპადოკია“ — თ.დეკანოსიძე, ქ.კაპანაძე, შ/გ „სალამო მშვიდობისა, „I არხი“. „1000 წვრილმანი“ — შალვა შუბლაძე, ტელეკომპანია „რუსთავი-2“.

9. **საუკეთესო გასართობი პროგრამა:** „სტილლი“ — ირმა ცქიტიშვილი, სტუდია TBC, „I არხი“. „მთელი ღამე“ — ნ.ზაუტაშვილი, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. „პარანოია“ — შ.რამიშვილი, ტელეკომპანია „იბერვიზია“. „ახალი რუსული მოდელი“ — ს.ვახტანგოვი, „2 არხი“.

10. **საუკეთესო მუსიკალური გადაცემა:** „ლეგენდა გრძელდება“ — გ.ჯანელიძე, ტელეკომპანია „იბერვიზია“. „ჯაზ-სპირიტი“ — თ.დარსაველიძე, ტელეკომპანია „2 არხი“. „ტრიუმფატორი“ — ა.იოსელიანი, მუსიკალური და გასართობი პროგრამების შ/გ, ტელეკომპანია „I არხი“.

11. **საუკეთესო სპორტული გადაცემა:** „კაძტუსი“ — ნ.მუსხელაძე, სამაუწყებლო სატელევიზიო ცენტრი. „ევროპა 96“ — გ.თორაძე, ტელეკომპანია „2 არხი“. „5/5“ — კ.დგებუაძე, ტელეკომპანია „2 არხი“.

12. **საუკეთესო საბავშვო-საყმაწვილო გადაცემა:** „ჩიპო“ — ა.ისიანი, „2 არხი“. „პირველი ივნისი“ — გ.შარაძე, საბავშვო-საყმაწვილო პროგრამების შ/გ, „I არხი“. „პირველკლასელები“ — „გურიის ტელევიზია“.

13. **საუკეთესო ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა:** „რამაზ ჩხიკვაძე“ — ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების შ/გ, „I არხი“. „დოქტორ ფაუსტუსი“ — დ.გოგიბედაშვილი, ტელეკომპანია „2 არხი“. „ალტერ ეგო“ — ბ.ჯანიკაშვილი, „2 არხი“.

14. **საუკეთესო კინოგადაცემა:** „თეთრი კვადრატი“ — გ.გვახარია, შ/გ „ილუზიონი“, „I არხი“. „ტელესინე ვიდეო“ — ლ.სახაროვი, გ.ფიფია, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. „მრავალსახეობა ეკრანისა“ — ნ.თუთბერიძე, შ/გ „ილუზიონი“, „I არხი“.

15. **საუკეთესო სატელევიზიო ფილმი:** „ფლეშ არტი“ — ს.ვახტანგოვი, კომპანია „ქართული ტელეფილმი“. „ალმასავლეთის ექსპრესი“ — ი.მახარაძე, „ქართული ტელეფილმი“. „თბილისელი გავროშები“ — ი.ღლონტი, ტელეკომპანია „777“.

16. **საუკეთესო მუსიკალური კლიპი:** „სახლი“ — მ.მრევლიშვილი, სტუდია TBC, „I არხი“. „სახე“ — ზ.ორაშვილი, „I არხი“.

17. **საუკეთესო პროდიუსერი:** სერგო ბიწაძე — „2 არხი“. ლევან ჩიკვაიძე — სტუდია „მაესტრო“, „I არხი“. შალვა მეცხოვრიშვილი — სტუდია TBC, „I არხი“.

18. **საუკეთესო სატელევიზიო რეკლამა:** TBC ბანკი — ზ.ხაინდრავა, სტუდია TBC, „I არხი“. „ოქროს არწივი“ — გ.შარაძე, „I არხი“. „გუდაური ვოდკა“ — კ.ხოშტარია, ნ.ახვლედიანი, P.S. studio.

19. **საუკეთესო სატელევიზიო ქუდი:** „მთავარი თემა“ — გ.ცარციძე, MIMOSI Grafics. „მონიტორი“ — გ.შარაძე, ტელეკომპანია „იბერვიზია“. „ჩიპო“ — ა.ისიანი, „2 არხი“.

20. **საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორული ნამუშევარი:** ნ.დროზდოვი — სტუდია „აუდიენციის“ გადაცემებისთვის, PTP. ს.ვახტანგოვი — „ფლეშ არტი“, „ქართული ტელეფილმი“. გ.მეცხოვრიშვილი — „აპლაუზი“, სტუდია TBC, „I არხი“.

21. **საუკეთესო სატელევიზიო ოპერატორული ნამუშევარი:** დ.მაჩაიძე — სტუდია „აუდიენციის“ გადაცემებისთვის, PTP. მ.მაღალაშვილი, მ.ნინოშვილი — „სახლი ძველ უბანში“, კომპანია „ტელე სახლი“. დ.ჩხიკვიშვილი, გ.ვარძელაშვილი, დ.კვიჟინაძე — „რეპორტაჟი ჩეჩნეთიდან“. მსოფლიო საინფორმაციო სააგენტო „რეიტერის“ კავკასიის ბიურო.

22. **საუკეთესო სატელევიზიო მონტაჟი:** გ.მეცხოვრიშვილი — „აპლაუზი“ და „სტილლი“, სტუდია TBC, „I არხი“. თ.ბუტიკაშვილი — „ლიტურგია XX საუკუნის საქართველოზე“, კომპანია „ქართული ტელეფილმი“. ნ.ჯანყარაშვილი — „მზეRA“, „5/5“, ტელეკომპანია „2 არხი“.

23. **საუკეთესო მხატვრული გაფორმება:** გ.გუგუშვილი — ტელეკომპანია „2 არხი“. ხ.საბახტარიშვილი, გ.კენჭაძე, მ.ავალიშვილი — სტუდია „TBC“-ის გადაცემებისთვის, „I არხი“. ბ.მალაზონია — „მთელი ღამე“, „ქორნიუსი“, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“. ძ.ყიფიანი — „სახლი ძველ უბანში“, კომპანია „ტელე სახლი“.

24. **საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი:** ზ.რუსაძე — „თაობა X“, საყმაწვილო-სატელევიზიო ცენტრი. ზ.გაჩეჩილაძე, გ.კიწმარიშვილი — „ლიდერი“, ტელეკომპანია „რუსთავი-2“. თ.დეკანოსიძე — „ქუჩის შვილები“, შ/გ „სალამო მშვიდობისა“, „I არხი“.

25. **საუკეთესო მუსიკალური გაფორმება:** მ.ახობაძე — სტუდია „TBC“-ის გადაცემებისთვის, „I არხი“. ი.საკანდელიძე — შ/გ „სალამო მშვიდობისას“ გადაცემებისთვის, „I არხი“. გ.ჟილაშვილი — „სახლი ძველ უბანში“, კომპანია „ტელე სახლი“.

26. **ფესტივალის აღმოჩენა:** ლ.ახობაძე — „არტისტი“, კომპანია „ქართული ტელეფილმი“. გ.ვეფხვაძე — „ქეთევან ნადარეიშვილი“, კომპანია „ქართული ტელეფილმი“. თ.ისიანი — „ჩიპო“, ტელეკომპანია „2 არხი“.

ART MONITOR

## სტუდია „ნოტა“ TOP 10

| L | N | ARTIST | ALBUM |
|---|---|---|---|
| 1. | 1. | SCATMAN JOHN | SCATMAN'S WORLD-95 |
| 6. | 2. | LA BOUCHE | SWEET DREAMS-95 |
| 2. | 3. | MICHAEL JACKSON | HISTORY PART 2-95 |
| 3. | 4. | BJORK | POST-95 |
| R | 5. | MADONNA | BEDTIME STORIE-94 |
| NEW | 6. | DIANA KING | SHY GUY-95 |
| 9. | 7. | ELTON JOHN | MADE IN ENGLAND-95 |
| NEW | 8. | CAPTAIN HOLL — YWOOD PROJECT | ANIMALS OR HUMAN-95 |
| R | 9. | CRANBERIES | NO NEED NO ARGUE-94 |
| NEW* | 10. | CRANBERIES | EVERYBODY ELSE...-93 |

L - პოზიცია გასულ ათეულში
N - პოზიცია ახალ ათეულში
R - კვლავ ათეულში
NEW - ახალი

სტუდია „ნოტა“, ჭავჭავაძის 19.

## ჰიტ-კიდობანი

## BONEY M.
## BABY DO YOU WANNA BUMP

*Do you wanna bump?*
*uh! uh! uh! uh! uh! uh!*
*Baby do you wanna bump*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*

*Hey you, and me, bump!*
*Baby do you wanna bump*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*
*Hey you, and me, bump!*

*Baby do you wanna bump*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*
*Do you, do you wanna bump?*
*Hey you, and me, bump!*

## O TEMPORA, O MORES!

### 7 სექტემბერი

1714 — საფრანგეთსა და რომის წმინდა იმპერიას შორის დაიდო ბადენის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საფრანგეთმა მიიღო ელზასი და სტრასბურგი.

1910 — 85 წლის წინ დაიბადა ელენე ჩიკვაიძე, ბალეტის მსახიობი, ბალეტმეისტერი და პედაგოგი.

1910 — 85 წლის წინ დაიბადა გიორგი ცეცხლაძე, არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (გარდაიცვალა 1986 წელს).

1949 — შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფარუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი, დავით კახაბერი, შადიმან შამანაძე, ვახტანგ სალია, გულსუნდა სიხარულიძე.

პასუხისმგებელი მდივანი მაია ტორაძე, სარეკლამო სააგენტოს დირექტორი დიმიტრი მოსულიშვილი
კომპიუტერული ცენტრის უფროსი თენგიზ ჩოლოყაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-06; ფაქსი: 29-48-06.